CMYK - 1

www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ორშაბათი 18 მაისი, 2009 წელი. №108 (2146) | ფასი 50 თეთრი

"24 საათის" ფიფქიანი ნომერი
*2424

ოპოზიცია 26 მაისის მოლოდინში
A2

ნდობის აღდგენა და მოლაპარაკებები
A2

„თამილის ვეფხვების„ სევდიანი დასასრული
A7

24 საათი
"24 საათის"
ელექტრონული ვერსია
იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
GRDC group
ჯი პი აი
ჩვენის საადაზღვევო ჯგუფი

რუსული ალტერნატივა

დიმიტრი ავალიანი

ალექსანდრე ებრალიძემ - ცნობილმა სანკტ-პეტერბურგელმა ბიზნესმენმა და „ავტორიტეტმა„ რომლის მეტსახელია - „ფაფა-ბაბა„, საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა. კრემლმა აქამდე ჩრდილში მყოფი მორიგი ფიგურა ორიოდე თვის წინ ამოატივტივა და გასულ კვირას მისი სახით საქართველოს საზოგადოებასა და ქართულ სათვისტომოს ქვეყნის დღევანდელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური კურსის თვალსაჩინო ალტერნატივა წარუდგინა. ხელისუფლების შეცვლა, ნეიტრალიტეტი, „ეთილმეზობლობა„ აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან - ასეთია მოსკოვის ახალი ფავორიტის სამოქმედო პროგრამა, რომელიც „კანდიდატს„ „თარიღებისა და შემსრულებლების მითითებით„ ჯერ კიდევ მარტის თვეში ჰქონდა შემუშავებული.

ბაზრებიდან სასახლეებამდე

სანკტ-პეტერბურგში ებრალიძემ დიდი ბიზნესიმპერია შექმნა. მისი ინტერესები მრავალ დარგს მოიცავს - ნავთობის გადამუშავებიდან სასურსათო ბაზრებამდე.

გაგრძელება A3 გვერდზე

სისხლი, სიყვარული და საქართველო კანში

ნინია კაკაბაძე
კანიდან

ხუთი დღის შემდეგ კანში უკვე შეიძლება გამოიკვეთოს მიმართულება, რომელიც ფესტივალის სელექციის კომიტეტმა აირჩია. თუკი გასულ წელს აბსოლუტურ უმრავლესობას სასიყვარულო თემატიკაზე შექმნილი ფილმები წარმოადგენდა, წელს თითქმის ყოველ სურათში ძალიან ბევრი სისხლია. ხან ჩინელი მღვდელი გადაიქცევა ვამპირად და ადამიანების სისხლით ძღება, ხან შვილმკვდარი მამა შურისძიების მიზნით ნახევარ სამყაროს ამოხოცავს და ხანაც ახალგაზრდების ბანდა წამლის გადამყიდველს მოიტაცებს და ნაჭერ-ნაჭერ დაჩეხავს. მხოლოდ ჩინელი კინორეჟისორი ჯონი ტო წარმოადგენს მკვლელობების სერიას იუმორით და პაროდირების სურვილით. ფილმი "შურისძიება" სწორედ ის ისტორიაა მამაკაცის შესახებ (ყოფილი პოლიციელი - კოსტელო), რომელსაც ქალიშვილი, სიძე და ორი შვილიშვილი მოუკლეს.

გაგრძელება A10 გვერდზე

კანი, ჯონი ტოს ფილმის შურისძიება შემოქმედებითი ჯგუფი

"საქართველოსთან ყოფნა გადაარჩენს აფხაზეთს და აფხაზურ კულტურას"

საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის განცხადებით, "აფხაზეთს და აფხაზურ კულტურას საქართველოსთან ერთად ყოფნა გადაარჩენს". ამის შესახებ პატრიარქმა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის საქართველოს მართმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს - წმინდა გიორგის ოქროს ორდენის გადაცემის ცერემონიაზე განაცხადა.

"აფხაზეთში ყოფნა ჩემთვის განსაკუთრებით სამახსოვრო წლები იყო. მე 10 წელი ვიყავი ცხუმ-აფხაზეთის ეპისკოპოსი, შემდეგ კი - მიტროპოლიტი. ერთი თვისება არსებობს ადამიანის გუნებაში, ეს არის მადლიერება. საცოდავია ის კაცი, რომელსაც არ გააჩნია ეს თვისება. ადამიანი ყოველდღე უნდა ემადლიერებოდეს ღმერთს კიდევ ერთი ლამაზი დღისთვის. დღეს მინდა, გამოვხატო მადლიერება აფხაზი ხალხის მიმართ, იმ ქართველების, აფხაზების და რუსების მიმართ, რომლებიც იმ დროს ცხოვრობდნენ აფხაზეთში. მე დღეს მაქვს საშუალება, მოვეფერო აფხაზებს და გამოვთქვა იმედი, რომ ჩვენ კვლავ ერთად ვიქნებით. საქართველოსთან ერთად ყოფნა გადაარჩენს აფხაზეთს და აფხაზურ კულტურას. ამასთან დაკავშირებით ჩვენ გამოგვაქვს დადგენილება, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით, იგი დაჯილდოვდეს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის უმაღლესი ჯილდოს წმინდა გიორგის ოქროს ორდენით, რომლის ტარების უფლებაც რექტორს ექნება," - განაცხადა კათოლიკოს-პატრიარქმა. ამასთან, მან სოხუმის უნივერსიტეტის სტუდენტებს საჩუქრად 10 ათასი აშშ დოლარი გადასცა, პროფესორ-მასწავლებლები კი საზეიმო მიღებაზე საპატრიარქოში მიიწვია.

დაჯილდოების ცერემონიას ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი, სოხუმის უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი ჯონი აფაქიძე, სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე გიორგი ბლიაძე და უნივერსიტეტის სტუდენტები ესწრებოდნენ.

პირველი

დასავლეთი რუსეთს კიდევ ერთხელ აკრიტიკებს

აშშ შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოში ეუთო-ს სადამკვირვებლო მისიის გაგრძელების საკითხში კონსენსუსის არარსებობის გამო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ცნობით, ამის შესახებ განცხადება აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა.

"სამწუხაროდ, რუსეთმა დაჟინებით მოითხოვა ისეთი სადამკვირვებლო ოპერაცია, რომელშიც ასახული იქნებოდა რუსეთის მიერ სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება. ჩვენ მივესალმებით საქართველოს დელეგაციის კონსტრუქციულ მიდგომას და იმედგაცრუებულნი ვართ, რომ რუსეთმა არ გაიზიარა თავმჯდომარე ქვეყნის კონსტრუქციული, ნეიტრალური სტატუსის აღიარებაზე დაფუძნებული შეთავაზება," - ნათქვამია აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში.

სახელმწიფო დეპარტამენტი აღნიშნავს, რომ მონიტორინგის მისიის არსებობა საქართველოში აუცილებელია და იმედს გამოთქვამს, რომ რუსეთი, საბოლოო ჯამში, მიიღებს საბერძნეთის გონივრულ და დაბალანსებულ წინადადებას.

ანალოგიური პოზიცია აქვს კანადის ხელისუფლებასაც.

საქართველოში ეუთო-ს მისიის გაგრძელების საკითხზე განცხადება კანადის საგარეო საქმეთა მინისტრმა ლოურენს კენონმა გააკეთა. მასში ნათქვამია, რომ ხუთი თვის განმავლობაში მიმდინარე ურთულესი მოლაპარაკებები კრახით დასრულდა, ერთი მონაწილე სახელმწიფის უკომპრომისო და ხისტი პოზიციის გამო.

"პასუხისმგებლობა საქართველოს ამ ჩიხურ მდგომარეობაში შეყვანისა და ეუთო-ს მისიის მოქმედების შეწყვეტის გამო ეკისრება რუსეთს. ეს ფაქტი არ წარმოადგენს პოზიტიურ სიგნალს და ხელს არ უწყობს იმ უაღრესად აუცილებელი რწმენისა და ნდობის აღდგენას, რაც გვჭირდება ევროპის უსაფრთხოების წინაშე არსებულ გამოწვევებზე საპასუხოდ," - აღნიშნულია კანადის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებაში.

ინტერპრესნიუსი

ოპოზიცია 26 მაისის მოლოდინში

დათო გამისონია

საპროტესტო აქციების ორგანიზატორი ოპოზიციის ლიდერები წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით მოქმედებენ, რაც, ძირითადად, პროტესტის გამოხატვის ადგილმდებარეობის შეცვლას გულისხმობს. პრეზიდენტ სააკაშვილის პოლიტიკური ოპონენტები 26 მაისს დაგეგმილი სამოქალაქო აღლუმის წინ, ყოველდღიურად ატარებენ მოსამზადებელ აქციებს. გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა საპროტესტო დემონსტრაცია თავდაპირველად მეტროსადგურ "ისანთან" გამართეს, შემდეგ კი პროტესტის გამოხატვა ნაძალადევის რაიონში, განთიადის ბაღთან გააგრძელეს.

გუშინ ისნის რაიონში მიმდინარე ლოკალურ მიტინგზე ოპოზიციის ლიდერმა ლევან გაჩეჩილაძემ მოქალაქეებს განუცხადა, რომ ოპოზიცია თბილისის მასშტაბით მუდმივად აწარმოებს სოციოლოგიურ გამოკითხვებს. მიღებული შედეგის მიხედვით, დედაქალაქის მცხოვრებთა 80 პროცენტი პრეზიდენტ სააკაშვილის თანამდებობიდან გადადგომის მომხრეა (პრეზიდენტობის ყოფილ კანდიდატს არ დაუკონკრეტებია, თუ როდის და როგორი მეთოდით ჩატარდა აღნიშნული გამოკითხვა, ამასთანავე უცნობია როგორც გამოკითხულთა რაოდენობა, ასევე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შემსრულებელი). თუმცა, ლევან გაჩეჩილაძე მიიჩნევს, რომ ეს საკმარისი არ არის, რადგან, მისი აზრით, პრეზიდენტის თანამდებობიდან გადადგომის მხარდამჭერ მოქალაქეთა 80 პროცენტის ნახევარი ძალიან ინდიფერენტულია. ამიტომ არასაპარლამენტო ოპოზიცია მიმდინარე საპროტესტო აქციების მიმართ გულგრილად განწყობილ მოქალაქეთა მობილიზებას აპირებს. მან მეტროსადგურ "ისანთან" მყოფ რამდენიმე ასეულ მოქალაქეს კიდევ ერთხელ განუმარტა, თუ რატომ არის აუცილებელი ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნების დანიშვნა. **თუ გადარჩება სააკაშვილი, მაშინ დაიღუპება საქართველო,** - განაცხადა გაჩეჩილაძემ. გარდა ამისა, მან გაიხსენა არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებსა და პრეზიდენტ სააკაშვილს შორის გამართული შეხვედრა. **ოპოზიციამ ნათლად განუცხადა სააკაშვილს, რომ აღარ აქვს რესურსი და უნდა წავიდეს ხელისუფლებიდან. მისი რეაქცია ჩვეული იყო და ის ამ შეხვედრაზე პერიოდულად ფეთქდებოდა ხოლმე,** - აღნიშნა ლევან გაჩეჩილაძემ.

გუშინ მერტოსადგურ "ისანთან" შეკრებილ დემონსტრანტებს სიტყვით მიმართა "ალიანსი საქართველოსთვის" თანათავმჯდომარემ დავით გამყრელიძემ. მისი აზრით, **პრეზიდენტ სააკაშვილის ხელისუფლება მოქალაქეებს არწმუნებდა, რომ საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში შექმნილი ჯარი მოსკოვის აღებისთვისაც კი მზად იყო.** "ახალი მემარჯვენეების" ლიდერის თქმით, **საქართველოს თავდაცვის სისტემაზე დახარჯული მილიარდობით ლარი წყალში გადაყრილი აღმოჩნდა, რადგან რუსეთმა წაიღო ჩვენი ტექნიკა და გაანადგურა ბაზები. დღეს აღარ გვაქვს არც სოციალური და არც სამხედრო ინფრასტრუქტურა.** მიუხედავად ამისა, დავით გამყრელიძე ამაყობს ქართული შეიარაღებული ძალებით, თუმცა მას რცხვენია პრეზიდენტი სააკაშვილის მოქმედებების გამო. **მთავარსარდალი რუსული თვითმფრინავების გამოჩენაზე თავქუდმოგლეჯილი გარბოდა, ხოლო მისმა გენერლებმა ზურგი აქციეს არა მხოლოდ მტერს, არამედ საკუთარ ხალხსაც,** - აღნიშნა გამყრელიძემ.

ოპოზიციის ლიდერებმა ისნის შემდეგ ნაძალადევის რაიონში გადაინაცვლეს. განთიადის ბაღთან გამართულ მიტინგზე "ალიანსი საქართველოსთვის" წევრმა მანანა ნაჭყებიამ პრეზიდენტი სააკაშვილი კიდევ ერთხელ დაადანაშაულა ქვეყანაში შექმნილი ვითარების გამო. არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა მხარდამჭერებს შემდეგი დღის სამოქმედო გეგმებიც გააცნეს. დღეს 12.00 საათზე ოპოზიციის ლიდერები ჭადრაკის სასახლეში საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდებიან. ისინი 26 მაისს დაგეგმილი აქციის სავარაუდო სცენარებს განიხილავენ. ხოლო, 15.00 საათზე მანიფესტანტები "სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2"-ის შენობისკენ გაიმართებიან. ოპოზიციის მხარდამჭერები საპროტესტო აქციას შსს-ს ე.წ. მოდულის შენობასთან გააგრძელებენ.

ახალი პოლიტპატიმრები

გუშინ არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერებმა საინფორმაციო მიტინგი პარლამენტის შენობის წინ კვლავინდებურად 17:00 საათზე განაახლეს. ოპოზიციის ლიდერებმა ყურადღება გაამახვილეს ბრალდებულებზე - კერძოდ, პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის პოლიტიკური გუნდის წევრ ზურაბ ავალიანსა და სამხედრო ექსპერტ ვახტანგ მაისაიაზე. "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" ლიდერმა ნინო ბურჯანაძემ გააპროტესტა მისი პარტიის აჭარის ორგანიზაციის ხელმძღვანელ ზურაბ ავალიანისთვის წინასწარი პატიმრობის ვადის გაგრძელება. **ავალიანს ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ჰქონდა შეფარდებული, ბრალდებისაც და პატიმრობის გაგრძელების არგუმენტიც აბსურდულია,** - აღნიშნა ბურჯანაძემ. მან დასძინა, რომ **იმ აბსურდული ბრალდების გამო, თითქოს იგი აბაზანაში ინახავდა მუხას , ავალიანს წინასწარი პატიმრობის ვადა ერთი თვით გაუგრძელეს. არგუმენტი კი მეტად საინტერესოდ წარმოადგინეს - საჭიროა მისი სატელეფონო საუბრების დამატებით გაშიფვრა. ორი თვის განმავლობაში მათ, თურმე, ეს ვერ მოახერხეს და საქმის გამოსაძიებლად მისი ციხეში ჯდომაა აუცილებელი. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ზურაბ ავალიანი პოლიტიკური პატიმარია,** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. რუსთაველის გამზირზე განთავსებულ სცენაზე სიტყვით გამოსვლისას ბრალდებულების მიმართ ტიპური საბჭოთა მეთოდების გამოყენების შესახებ ისაუბრა "საქართველოს გზის" ლიდერმა სალომე ზურაბიშვილმა. ზურაბიშვილის აზრით, **ხელისუფლებას ოპოზიციის ლიდერების ავტორიტეტის შელახვა სურს, ამიტომ სახელმწიფო ღალატში ბრალდებულ ვახტანგ მაისაიაზე პროკურატურა ახორციელებს ზეწოლას რათა მან განაცხადოს, თითქოს, სალომე ზურაბიშვილთან ერთად მუშაობდა.**

ნდობის აღდგენა და მოლაპარაკებები

სემნები მხარეებს ისევ დიალოგისკენ მოუწოდებს

არასაპარლამენტო ოპოზიციის ლიდერები გუშინ სასტუმრო "მარიოტში" სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელ პიტერ სემნებს შეხვდნენ. საუბრის ძირითადი თემა ისევ და ისევ ხელისუფლებას და ოპოზიციას შორის დიალოგი იყო. სემნების განცხადებით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკება ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა.

პიტერ სემნები

ჯერ კიდევ შეხვედრის დაწყების წინ ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ევროკავშირის რეკომენდაციები არ შეცვლილა, იგი მხარეებს კვლავ დიალოგისკენ მოუწოდებს და შეახსენებს მათ, რომ ეს ჩიხიდან გამოსვლის ერთადერთი გზაა. **ჩვენი რეკომენდაციები იგივეა - პოლიტიკური ჩიხიდან, რომელიც გრძელდება, გამოსვლა მოლაპარაკების გზით უნდა მოხდეს. უკვე გადაიდგა პოზიტიური ნაბიჯები, მაგრამ ჩვენ გვჭირდება ამ ნაბიჯების გაგრძელება ორივე მხრიდან,"** - აღნიშნა სემნებმ.

ევროკავშირის წარმომადგენლის აზრით, ამ ეტაპზე მთავარ ამოცანას წარმოადგენს ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის ნდობის აღდგენა: **ნდობა არის ის საფუძველი, რომელზეც უნდა აიგოს მოლაპარაკებები."** იგივე პოზიცია გამოხატა სემნებმ შეხვედრის დასრულების შემდეგ. მან ოპოზიციას პოზიტიური ნაბიჯების გადადგმა - კერძოდ, ხელისუფლებასთან დიალოგის განახლება ურჩია.

თავის მხრივ ოპოზიციამ სემნების განუმარტა, რატომ არის მისთვის მიუღებელი პრეზიდენტის 5-პუნქტიანი შეთავაზება. როგორც "რესპუბლიკური პარტიის" ლიდერმა დავით უსუფაშვილმა მედიასთან კომენტარისას განაცხადა, აღნიშნული დოკუმენტი იდენტურია გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში გახმაურებული "დემოკრატიის მეორე ტალღის" დოკუმენტისა. უსუფაშვილის განმარტებით, ხელისუფლება მერვე თვეა, ადგილიდან არ იძვრის. აქედან გამომდინარე, ოპოზიციას არ სჯერა, რომ 5-პუნქტიანი დოკუმენტი ქვეყანას კრიზისიდან გამოიყვანს. ოპოზიციის შეფასებით, მოლაპარაკებათა მეორე რაუნდი იმ შემთხვევაში შედგება, თუ ხელისუფლება არსებული სიტუაციის ადეკვატურ ნაბიჯებს გადადგამს.

როგორც "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს ლიდერმა" ნინო ბურჯანაძემ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, ხელისუფლებაში არ არსებობს კრიზისის დაძლევის პოლიტიკური ნება. მეტიც, ბურჯანაძის თქმით, ხელისუფლებას იმის აღიარებაც კი უჭირს, რომ ქვეყანა კრიზისში იმყოფება. **მე კიდევ ერთხელ დავაფიქსირე, რომ საფუძველს ვერ ვხედავ ხელისუფლებასთან დიალოგის გამეორებისთვის. ამ დიალოგის უკან არაფერია გარდა იმისა, რომ დააეჭვოს ხალხი, შეიტანოს ორჭოფობა ადამიანებში და მოკლას მუხტი, რათა პრობლემა გადაწყვიტოს,"** - განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

"საქართველოს გზის" ლიდერ სალომე ზურაბიშვილის აზრით, განახლდება თუ არა მოლაპარაკება ხელისუფლებასთან, ეს დამოკიდებულია იმაზე, რამდენად ჯანსაღ ნაბიჯებს გადადგამს პრეზიდენტი სააკაშვილი.

პიტერ სემნები გუშინ საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენელ პაატა დავითაიასაც შეხვდა. დავითაიას განცხადებით, ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის არსებობის იმის რესურსი, რომ დიალოგი გაიმართოს და შედეგად კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნეს მიღებული.

პაატა დავითაიამ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, რომ შეხვედრის დეტალების გახმაურებისგან თავს შეიკავებს, თუმცა საუბარი შეეხო მედიის გამო არსებულ პრობლემებს და 6 მაისს თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მომხდარი ინციდენტის დროს ძალის გადამეტების ფაქტებზე გამოძიების დაწყების აუცილებლობას.

დღეისთვის დაგეგმილია პიტერ სემნების შეხვედრა ხელისუფლების წარმომადგენლებთან.

საკუთარი ინფორმაცია

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები: მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), ლევან ღირსიაშვილი (მმართველი რედაქტორი). **რედაქტორები:** მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49. **კომპიუტერული ცენტრი:** თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯიშკარიანი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი
რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკელის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge

რუსული ალტერნატივა

მათ შორის ტრანსპორტის, ვაჭრობის, საწარმოო, დეველოპერულ, საბანკო, ასევე სასტუმრო, სათამაშო, რესტორნების, კლუბებისა და დაცვის ბიზნესს. ებრალიძე სანკტ-პეტერბურგის ცნობილი ისტორიული ნაგებობების მფლობელია, მათ შორის გამოირჩევა გრაფ შერემეტიევების სასახლე, სადაც ბიზნესმენმა ელიტური სასტუმრო მოაწყო, ხოლო „კომინუსტური პარტიის“ რაიკომის ყოფილ შენობაში - პეტერბურგის ყველაზე ელიტური დახურული კლუბი „ტალიონი“.

პეტერბურგის ქართველი იმპერატორი , როგორც მას ერთ-ერთი რუსული ინტერნეტ-გამოცემა უწოდებს, კომპანიების მრავალპროფილური ჯგუფის, სააქციო საზოგადოება „ტალიონის“ გენერალური დირექტორია, ასევე „კონსტანს ბანკის“ აქციონერი და დირექტორთა საბჭოს წევრი. არის რუსეთის ისტორიულ-ლიტერატურული პრემიის „ალესანდრ ნევსკის“ დამაარსებელი, ასევე პეტერბურგში ბაგრატიონის ძეგლის დადგმის ინიციატორი და სპონსორი.

რუსული მედიის შეფასებებით, დღეს ებრალიძის ქონება 500 მილიონ დოლარს აღემატება. 2006 წელს „ერ-ბე-კა რეიტინგის“ მონაცემებით, მან ყველაზე მდიდარ 500 რუსს შორის 274-ე ადგილი დაიკავა. მაშინ მისი ქონება 125 მილიონ დოლარად შეფასდა.

ალექსანდრე ებრალიძე 1955 წელს ბათუმში, პედაგოგთა ოჯახში დაიბადა. 1971 წელს იგი რუსეთში გაემგზავრა, სადაც ლენინგრადის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა. ბიზნესმენის საბჭოთა ბიოგრაფიის შესახებ ცნობები რუსულ მედიაში არ მოიპოვება. თუმცა, ებრალიძის ცხოვრების ამ პერიოდზე გარკვეულ წარმოდგენას იძლევა პეტერბურგული ინტერნეტ-გამოცემა „გაზეტა.სპბ.რუ“, რომლის ცნობითაც, საბჭოთა პერიოდში ალექსანდრე ებრალიძე ორჯერ იყო ნასამართლევი.

კერძოდ, 1979 წელს ლენინგრადის მოსკოვის რაიონის სასამართლომ მას ყაჩაღობისა და იარაღის უკანონო შენახვისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1985 წელს იგი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს. თუმცა, უკვე 1986 წელს სესტრორეცკის სასამართლომ ებრალიძეს ხულიგნობისა და სამართალდამცავებისთვის წინააღმდეგობის გაწევის გამო 5 წელი მიუსაჯა. იგი ციხიდან მეორედაც ვადაზე ადრე გამოვიდა.

90-იან წლებში ბიზნესი ებრალიძემ ქართული წარმოშობის ცნობილ ბიზნესმენებთან, ძმებ მირილაშვილებთან ერთად წამოიწყო, რომელთაც მოგვიანებით ჩამოსცილდა. მათი პირველი პროექტი იყო კონდრატიევოს ბაზარი. ებრალიძემ, როგორც ჩანს, სწორედ მაშინ მიიღო თავისი მეტსახელი - ‘‘ŁŒ-ßŒ‘‘. რუსული გამოცემები ებრალიძეს 90-იანი წლების „ბანდიტური პეტერბურგის“ ერთ-ერთ ავტორიტეტად ასახელებენ. მას მოსკოველი ქართველი კანონიერი ქურდების ინტერესების გამტარებლად მიიჩნევდნენ. იგი პეტერბურგის ბაზრების შემოსავალს აკონტროლებდა.

როგორც ჩანს, ებრალიძის გავლენა თანდათან იზრდებოდა. რუსული ინტერნეტ-გამოცემა „ფედერალურ გამოძიებათა ბიურო“ სანკტ-პეტერბურგის კრიმინალური გარჩევების შესახებ ვრცელ მასალაში ყურადღებას ამახვილებს 2001 წლის შემოდგომაზე „ტამბოველთა“ კრიმინალურ დაჯგუფებასა და ებრალიძის „სტრუქტურებს“ შორის სანკტ-პეტერბურგის საზღვაო ნავსადგურზე კონტროლისათვის მომხდარ დაპირისპირებაზე. ქართველმა ბიზნესმენმა „ტამბოველები“ ნავთობპროდუქტების ბაზარზეც შეავიწროვა. გამოცემა აღნიშნავს, რომ ამ ბაზარის გამო მომხდარ ყველა გახმაურებულ დანაშაულს სწორედ ებრალიძის სახელს უკავშირებდნენ.

რუსულ მედიაში ასევე ვრცელდება ცნობები ალექსანდრე ებრალიძის მჭიდრო პირადი კავშირების შესახებ რუსეთის ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე სერგეი მირონოვთან, ასევე სანკტ-პეტერბურგის გუბერნატორ ვალენტინა მატვიენკოსა და მის მოადგილე სერგეი ტარასოვთან.

რუსული ოპოზიციური პარტია „იაბლოკოს“ აქტიური წევრი, პოლიტტექნოლოგიების ექსპერტი მალხაზ ჟვანია, რომელიც ბოლო 15 წელი სანკტ-პეტერბურგში ცხოვრობდა, „24 საათთან“ საუბრისას აღნიშნავს, რომ აქამდე ალექსანდრე ებრალიძეს საჯარო პოლიტიკაში აქტიურობა არასდროს გამოუჩენია.

მისი აზრით, **ამგვარი ფიგურების ასეთი გააქტიურება რუსეთში, როგორც წესი, ძალოვანი სტრუქტურების დავალებით ხდება ხოლმე. აქამდე, როგორც ჩანს, იგი რეზერვში ჰყავდათ.**

ხსნის კომიტეტი ვენაში

ებრალიძის პოლიტიკური დებიუტი 2009 წლის მარტში შედგა. 12-14 მარტს ვენაში, ავსტრიის „თავისუფლების პარტიის“ ორგანიზებით გაიმართა კონფერენცია სახელწოდებით „საქართველოს აწმყო და მომავალი“, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ქართული ოპოზიციის რამდენიმე ლიდერმა და რამდენიმე ქართველმა ექსპერტმა. სწორედ ამ ღონისძიებაზე იქნა წარმოდგენილი „საქართველოს ხალხთა მსოფლიო კონგრესის“ მიმართვა, რომელიც შემდეგ რუსულმა მედიამ გაავრცელა. „კონგრესი“ 2009 წლის თებერვალში, ვენაში დარეგისტრირდა. მის თავმჯდომარედ ალექსანდრე ებრალიძე აირჩიეს. რუსული მედიის ცნობით, კონგრესის დამაარსებელთა შორის იყვნენ ავსტრიაში მცხოვრები ბიზნესმენი ლევან პირველი, ასევე ასლან აბაშიძის მთავრობის თავმჯდომარის ყოფილი მოადგილე, ამჟამად მოსკოვში მცხოვრები ბიზნესმენი და „საქართველოს ხალხთა თანადგომის ფონდის“ თავმჯდომარე ბადრი მელაძე და „რუსეთის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარე“ ვლადიმირ ხომერიკი.

„საქართველოს ხალხთა კონგრესის“ მიმართვა საკმაოდ ვრცელი იყო და პროგრამის ხასიათს ატარებდა. კონგრესის დამფუძნებელთა აზრით, **საქართველოში მშვიდობის დამყარებისა და მისი აყვავების გზაზე მთავარ წინააღმდეგობას ახლანდელი პრეზიდენტის პოლიტიკა წარმოადგენს.** შესაბამისად, მიმართვის ავტორებმა აგვისტოს ომის გაჩაღებაში მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულეს. მათი აზრით, სააკაშვილის **მშვიდობიანი გზით ხელისუფლებისგან ჩამოცილება დღეს ყველაზე არსებით პრობლემას წარმოადგენს ,** თუმცა **ქვეყანაში დღემდე ვერ ჩამოყალიბდა ძალა, რომელსაც სააკაშვილის წასვლის შემდეგ ქვეყნის ხელმძღვანელობა შეუძლია ,** ამიტომ **კონგრესი მზად არის, პატრიოტული ძალების კონსოლიდაცია თავის თავზე აიღოს .**

რაც შეეხება საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ებრალიძე და მისი თანამოაზრეები მიიჩნევენ, რომ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობის საკითხი **საქართველოში და აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებში მცხოვრები ყველა ხალხის ინტერესის დაცვით** უნდა გადაწყდეს. მათი განცხადებით, კონფლიქტების მოგვარება რუსეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია, ხოლო რუსეთთან ურთიერთგაგების მიღწევას, ძირითადად, ისევ და ისევ ხელისუფლებაში სააკაშვილის ყოფნა უშლის ხელს.

კონგრესი გაგებით ეკიდება მოტივებს, რის გამოც რუსეთმა მიიღო გადაწყვეტილება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ, თუმცა ამას არ ეთანხმება, - ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვის ავტორების სამოქმედო პროგრამა ქვეყნის **დაბალანსებულ, პრაგმატიზმზე, ისტორიულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ საგარეო კურსს** გულისხმობს. ხოლო ამ პროგრამის განსახორციელებლად, მისი ავტორების განცხადებით, მათ „კონკრეტული ზომები“ შეიმუშავეს **თარიღების, კონკრეტული ქმედებების და პასუხისმგებელი პირების მითითებით .** მიმართვას, „საქართველოს ხალხთა კონგრესის პრეზიდენტის“ სტატუსით, ხელს აწერს ალექსანდრე ებრალიძე.

ორგანიზაციამ საკუთარი ვებ-გვერდიც შექმნა. საიტი არ შეიცავს ინფორმაციას კონგრესის (რომელსაც მოგვიანებით „სამბლეა“ ეწოდა) დამფუძნებელთა შესახებ. ორგანიზაციის ახალი ამბების გარდა, ვებ-გვერდზე მოცემულია ზოგადი ცნობები საქართველოს შესახებ - ხშირ შემთხვევაში, რუსეთის პოლიტიკურ ინტერესებზე მორგებული. მაგალითად, „გეოგრაფიის“ განყოფილებაში ნახსენებია **საქართველოს სანაპირო ზოლი ენგურიდან სარფამდე ,** აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიის აღწერა კი საერთოდ არ არის მოცემული.

აპრილში ალექსანდრე ებრალიძე რუსულ მედიას უახლოესი გეგმების შესახებ უყვებოდა - ჩამოვიდეს საქართველოში, მიიღოს მოქალაქეობა, დააფუძნოს გაზეთი და ტელევიზია და აქტიური პოლიტიკით დაკავდეს.

ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე

საქართველოს პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში კრემლის ახალი ფავორიტი დასახელდა, - ასეთი შეფასება მისცა რუსულმა გამოცემა „კომერსანტმა“ გასულ კვირას სოჭში გამართულ „საქართველოს ხალხთა საერთაშორისი კონფერენციის“ შედეგებს, სადაც ებრალიძემ საქართველოს პრეზიდენტობის სურვილი გამოთქვა.

თებერვალში რუსეთის ქართული დიასპორის კიდევ ერთ „ლიდერ“ მიხეილ ხუბუტიას მიერ ორგანიზებულ, ფაქტობრივად, ჩავარდნილ „რუსეთის ქართველთა ყრილობის“ ფონზე, ეს ღონისძიება გაცილებით მასშტაბური გამოდგა. კონფერენციას, რუსული მედიის ცნობით, 18 ქვეყნიდან ჩამოსული დელეგაციები ესწრებოდნენ. საქართველოდან ღონისძიებას 52 კაცი ეწვია - ექსპერტები და საზოგადოების წარმომადგენლები.

კონფერენცია გასული წლის აგვისტოში საქართველოდან გადახვეწილმა ბიზნესმენმა გოჩა ძასოხოვმა გახსნა, რომელმაც საკუთარი თავი „საქართველოს ხალხთა ასამბლეის“ თავმჯდომარედ წარადგინა. ალექსანდრე ებრალიძე კონფერენციაზე ამჯერად რიგითი „პეტერბურგელი ბიზნესმენის“ სტატუსით წარდგა.

ებრალიძემ თავის გამოსვლაში განაცხადა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის დასახელებისა და ახალი პარტიის შექნის აუცილებლობაზე, რომელიც რუსეთში მცხოვრებ ქართველთა ინტერესებს დაიცავს და საქართველოში არჩევნებში მიიღებს მონაწილეობას. მან კრიზისიდან გამოსვლის საკუთარი გზაც წარმოადგინა. ებრალიძის განცხადებით, საქართველო უნდა გახდეს ნეიტრალური ქვეყანა, მისმა ხელისუფლებამ კი ურთიერთობები უნდა მოაწესრიგოს რუსეთთან და **კეთილმეზობლური ურთიერთობა დამყაროს აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან .** ეს ზომები, **საქართველოს სახელმწიფოებრივი მართვის ახალი მოდელის შექმნასთან** ერთად, ებრალიძის აზრით, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებას და ეკონომიკურ განვითარებას შეუწყობს ხელს.

რაც შეხება პრეზიდენტობის კანდიდატს, აქ ებრალიძემ, როგორც თავად ამბობს, **თავმდაბლობა გვერდზე გადადო** და კანდიდატად საკუთარი თავი დასახელა. მისი თქმით, იგი ამ მომენტს **ოცი წელი ელოდა . ჩვენი საქმე მართალია, ჩვენ გავიმარჯვებთ,** - სტალინის ციტატით დაგვირგვინა ებრალიძემ გამოსვლა.

„საქართველოს ხალხთა კონფერენციამ“ რეზოლუცია მიიღო, რომელშიც ნათქვამია, რომ ქვეყანა უნდა იყოს ნეიტრალური სახელმწიფო - **ჩვენი სამშობლოს ტერიტორიიდან არავის მიმართ სამხედრო საფრთხე არ უნდა მოდიოდეს** და **საქართველომ შიდა საქმეებში ჩაურევლობის საერთაშორისო გარანტია უნდა მიიღოს ;** გარდა ამისა, რეზოლუციაში ნათქვამია, რომ საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი უნდა გახდეს რუსეთთან **კეთილმეზობლური, თანასწორუფლებიანი ურთიერთობების აღდგენა და განვითარება ,** ასევე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებთათვის მიმზიდველი პირობების შექმნა .

თავად „პრეზიდენტობის კანდიდატი“, რომელსაც თავისი გეგმის განხორციელებაში, სულ მცირე, საქართველოს მოქალაქეობის არქონა უშლის ხელს, აქ დიდ პრობლემას ვერ ხედავს. „კომერსანტის“ კორესპონდენტის რეპლიკას - **თქვენ სააკაშვილი მოქალაქეობას არ მოგცემთ ,** მან უპასუხა: **რატომ ფიქრობთ ასე? მე ვფიქრობ, რომ მომცემს.**

რუსები აფხაზებს "საზღვრის" დაცვაში ეხმარებიან

რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახური აფხაზურ მხარეს „საქართველოსთან საზღვრის“ უახლესი ტექნოლოგიებით დაცვას ჰპირდება.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს უფროსის პირველმა მოადგილემ დიმიტრი კოროლიოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთის საზღვრის დაცვის დონე და სანდოობა, შესაძლოა, უფრო მაღალიც კი იყოს, ვიდრე რუსეთის სახელმწიფო საზღვრის.

მისივე თქმით, მესაზღვრეები კავშირის უახლესი საშუალებებით იქნებიან აღჭურვილნი. კოროლიოვის ინფორმაციით, სასაზღვრო დანაყოფების განლაგება განსაზღვრულია სახმელეთო და საზღვაო მონაკვეთების სრული დაფარვის მიზნით. ამასთანავე, როგორც კოროლიოვმა განაცხადა, უახლოეს პერსპექტივად რუსული მხარე აფხაზეთის სახმელეთო სასაზღვრის გასწვრივ სრულფასოვანი საინჟინრო-ტექნიკური ნაგებობის, ტექნიკური საშუალებებისა და წინაღობების აშენებას გეგმავს. რუსული მხარის მონაცემებით, ე.წ. აფხაზეთის სახმელეთო საზღვარი ქართულ მხარესთან - 160 კილომეტრს, ხოლო საზღვაო - 200 კილომეტრს შეადგენს.

ინტერპრესნიუსი

ახალგორში რუსებმა დამატებითი ძალები შეიყვანეს

ახალგორში საზღვრის დაცვის გაძლიერების მიზნით,რუსი სამხედროების დამატებითი ძალები შეიყვანეს. სამხედროები საზღვრის 70-კილომეტრიან ზოლს გააკონტროლებენ. ჯგუფის მეთაურ ანდრეი ზულოვის განცხადებით, "ყველა ჯარისკაცი ახალგორში საკუთარი სურვილით ჩამოვიდა. მათგან 30 პროცენტს სწავლებები ჩრდილოეთ კავკასიაში აქვს მიღებული". აღსანიშნავია, რომ ოკუპანტებმა ახალგორში სამდიცინო პუნქტებიც გახსნეს.

პირველი

ჟენევის კონსულტაციების მორიგი რაუნდი

ქართული დელეგაცია ჟენევის საერთაშორისო კონსულტაციების მორიგ რაუნდზე გაემგზავრა, რომელიც 18-19 მაისისთვის არის დაგეგმილი.

დელეგაციას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე გიგა ბოკერია ხელმძღვანელობს, შემადგენლობაში კი შედიან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე მალხაზ აკიშბაია და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის დორებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევი. ჟენევის შეხვედრაზე აკიშბაია დევნილების, გალის რაიონის მოსახლეობის უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის, მოსახლეობის იძულებითი პასპორტიზაციის, კოდორის ხეობიდან სასულიერო პირების გამოძევებისა და კონფლიქტის ზონაში საერთაშორისო კონტროლის დამყარების საკითხებს დააყენებს. დიმიტრი სანაკოევის განცხადებით კი, ქართულ მხარეს მზად აქვს ცხინვალის მარიონეტული რეჟიმის მოთხოვნის საპასუხო პოზიცია. ცნობისათვის - ცხინვალის რეჟიმი ჟენევაში აპირებს, ქართულ მხარეს ძალის გამოუყენებლობის შესახებ გარანტია მოსთხოვოს.

ინტერპრესნიუსი

გიორგი თარგამაძე პრეზიდენტისგან ზეპარტიულობას ითხოვს

„ქრისტიან-დემოკრატები“ ნაციონალური მოძრაობისგან“ მიხეილ სააკაშვილის გამიჯვნის საკითხის გააქტიურებას გეგმავენ. გიორგი თარგამაძის თქმით, მიხეილ სააკაშვლს აქვს შანსი, მეტ-ნაკლებად პოზიტიურად შევიდეს საქართველოს ისტორიაში, რისთვისაც ქვეყანაში რეალური პოლიტიკური კონკურენციის შესაძლებლობა და დემოკრატიული რეფორმების გზით ხელისუფლების არჩევნებით შეცვლის წინაპირობა უნდა შექმნას. ამ მიმართულებით კი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი, თარგამაძის შეფასებით, მიხეილ სააკაშვილის „ნაციონალური მოძრაობისგან“ გამიჯვნა იქნება, რათა „მან თავი შეიგრძნოს ქვეყნის და არა რომელიმე კერძო პოლიტიკური ორგანიზაციის პრეზიდენტად“. აღნიშნული საკითხი „ქრისტიან-დემოკრატებმა“ საპარლამენტო უმცირესობის პრეზიდენტთან შეხვედრის დროსაც დააყენეს, რაზეც, თაგამაძის განცხადებით, პრეზიდენტს „კატეგორიული წინააღმდეგობის სურვილი არ გამოუთქვამს.“ თარგამაძის შეფასებით, პრეზიდენტის მხრიდან ასეთი გადაწყვეტილების მიღება მნიშვნელოვანი იქნება და ქვეყანაში რეალური პოლიტიკური კონკურენციის ჩამოყალიბებაზეც პოზიტიურად აისახება. „ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერი პრეზიდენტის პარტიისგან გამიჯვნის საკითხს მიხეილ სააკაშვილთან მომდევნო შეხვედრებზეც დააყენებს. ამასთან, თარგამაძე თემის გააქტიურებას და „უფრო მეტი დამაჯერებელი არგუმენტების წარდგენას გეგმავს.“

კითხვაზე, შესაძლებელია თუ არა პრეზიდენტი არსებულ რეალობაში მართლაც გაემიჯნოს „ნაციონალურ მოძრაობას“, თარგამაძე აცხადებს, რომ გამორიცხული არაფერია.

ინტერპრესნიუსი

ცარიელი სარეკლამო დაფების ქალაქი

გარე რეკლამის ბაზარზე გაყიდვები შემცირდა

ნინო ნატროშვილი



ცხრილი №1

1. Street Furniture	74.19%	93	31	3.02%
2. Unipoll	66.67%	19	9	0.88%
3. Trivision	35.48%	93	40	3.9%
4. Street Sign	33.33%	15	15	1.46%
5. Backlit	31,25%	640	402	39,18%
6. Light Box	28,28%	244	127	12,38%
7. Roof Top	21,33%	75	71	6.92%
8. Overpass Billboard	16.30%	92	44	4.29%
9. Bridge Parapet	12.50%	24	18	1.75%
10. Billboard	10.34%	58	20	1.95%
11. Wall Murals	8,89%	90	86	8,38%
12. Bus Shelter	6,15%	372	100	9,75 %

(ცხრილი №2)



ცხრილი №3

Agency Sides	Frequency		Empty	Number of
1. utdoor.ge	275	26.8%	30.55%	491
2. Alma +	223	21.73%	38.20%	377
3. Vellagio	153	14.91%	24.47%	237
4. City Hall	88	8.58%	3.26%	337
5. Mimino	23	2.24%	16.28%	43
Total	762	74%	24.92%	1485

ცხრილი №4



ცხრილი №5



ცხრილი №6

კრიზისისადმი კრიტიკულად მგრძნობიარეა ფინანსური მომსახურებისა და უძრავი ქონების ბაზრები, ასევე საავტომობილო ბაზარი და ნავთობი. საფონდო ბაზრის პიკს და ნაციონალური ვალუტის მკვეთრ დევალვაციას საბანკო სექტორის სერიოზულ პრობლემებთან მივყავართ. მკვეთრად შემცირდა იპოთეკური და სამომხმარებლო დაკრედიტების მოცულობა, რამაც სერიოზული პრობლემა შეუქმნა უძრავი ქონების ბაზარს და შეამცირა ავტომანქანების გაყიდვებიც. ამასთანავე, კრიზისის პიკის მოლოდინში ხალხი ცდილობს, თანხა სახლში შეინახოს ან დანაზოგი ხელმისაწვდომ საქონელში დააბანდოს. მოსახლეობა სერიოზულად ფიქრობს, თუ რის ხარჯზე შეიძლება ეკონომიის გაკეთება.

მკვლევართა შეფასებით, კრიზისის ფონზე "რისკ ჯგუფს" მიეკუთვნებიან ტექნიკის მწარმოებლები, ალკოჰოლის და საკვები პროდუქტების პრემიუმ სეგმენტი, მობილური კავშირგაბმულობა, პრესა და კატეგორია "სილამაზე და ჯანმრთელობა". საკმაოდ რთულია პროგნოზის გაკეთება, თუ როგორ შეიცვლება მათი გაყიდვების დინამიკა წლის ბოლომდე. ცვლილებები შეიძლება იყოს როგორც ზრდის, ასევე კლების კუთხით.

შედარებით სტაბილური ბაზარია საყოფაცხოვრებო საქონელი, ყოველდღიური მოხმარების საქონელი, საშუალო და საშუალოზე დაბალი სეგმენტისთვის (ლუდი, ალკოჰოლი, სიგარეტი) და ფარმა. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, ექსპერტების შეფასებით, ამ კატეგორიის საქონელზე მოთხოვნა 20 პროცენტზე მეტად არ ეცემა. კრიზისის გადასატანად პრაქტიკულად ყველა ცდილობს ხარჯების სტრუქტურის ოპტიმიზაციას. შიდა ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციის აუცილებლობა, ბიზნესის ნაკლებ მომგებიანი მიმართულებების შემცირება და ინვესტიციის გადამისამართება ძლიერ ბრენდებში, ასევე სარეკლამო ბიუჯეტების ოპტიმიზაცია. "ოპტიმიზაცია", რა თქმა უნდა, კარგად ჟღერს, მაგრამ საჭიროა, ზუსტად გავიგოთ, რომ ამ ტერმინის უკან ყველაზე ხშირად იმალება შემცირება.

ამ პრობლემების შედეგად საქართველოს სარეკლამო ბაზარზე მკვეთრი ვარდნის შემდეგ შემცირების ტენდენცია გრძელდება. კომპანია IPM-is (The Institute for Polling and Marketing - კვლევებისა და მარკეტინგის ინსტიტუტი) მიერ 2008 წლის შემოდგომაზე ჩატარებული კვლევებით, თბილისში არსებული გარე სარეკლამო 1798 გვერდიდან კომპანიებმა და ორგანიზაციებმა 1466 (81%) აითვისეს. აგვისტოს კვლევებით, პროდუქციის 86 კატეგორიიდან რეკლამის ყველაზე მსხვილ განმთავსებელთა ხუთეული, განთავსებული გვერდების მიხედვით, ასე გადანაწილდა: ფინანსური ინსტიტუტები (312), თამბაქოს მწარმოებელი კომპანიები (160), საწვავ-საპოხი მასალები (136), კავშირგაბმულობის კომპანიები (92), სამშენებლო კომპანიები (90). შესაბამისად, თამბაქოს მწარმოებლებზე გარე რეკლამის სოლიდური წილი მოდის.

თბილისში არსებული გარე რეკლამის ყველაზე მსხვილი განმთავსებელი ნავთობპროდუქტების კომპანია "ვისოლია," რომელსაც აგვისტოში ასეთი 96 გვერდი ჰქონდა ათვისებული. განთავსებული გვერდების მიხედვით, პირველ ადგილზე მყოფ "ვისოლს" "პროკრედიტ ბანკი" (67) და ქართული თამბაქოს მწარმოებელი კომპანია "ოჯთ " (47) მოჰყვებიან. კომპანიის კვლევების მიხედვით, გაზაფხულის მაჩვენებლებთან შედარებით, აგვისტოში გარე რეკლამის განთავსების მხრივ აქტივობამ იკლო.

2008 წლის ოქტომბერ-დეკემბრის ცარიელი სარეკლამო კონსტრუქციების ჯამური პროცენტული მაჩვენებელი წარმოადგენდა 15,86%, ხოლო 2009 წლის პირველ სამ თვეში 21,34%-მდე გაიზარდა. თვეების მიხედვით დაუტვირთავი ბაზრის ყველაზე დიდი მაჩვენებელი დაფიქსირდა თებერვლის მეორე ნახევარში, სადაც ცარიელი კონსტრუქციების მაჩვენებელი იყო 24,8% (ცხრილი №1).

გარე რეკლამის ყველაზე აუთვისებელ კონსტრუქციათა რეიტინგი

გარე რეკლამა თბილისში კვლავაც აქტუალურია. BAS (Board Advertising System) პროგრამის მარტის თვის მონაცემებით, ქალაქში არსებული რეკლამა გადანაწილებულია 24 სხვადასხვა ტიპის კონსტრუქციის მიხედვით. მარტის თვეში თბილისში გარე რეკლამის ბაზარზე კონსტრუქციების ტიპებიდან ყველაზე დიდი მოცულობით აუთვისებელი კონსტრუქციების წილები შემდეგნაირად გადანაწილდა (ცხრილი №2).

*უნდა აღინიშნოს, რომ თებერვლის მეორე ნახევარში თბილისში გარე რეკლამის ბაზარზე გამოჩნდა ახალი კიოსკის ტიპის 3-გვერდიანი კონსტრუქცია - Street Furniture, ნაწილობრივ ამით აიხსნება ამ კონსტრუქციის წილი აუთვისებელ კონსტრუქციათა რეიტინგში (ცხრილი №3).

გარე რეკლამის ბაზარზე გამოჩნდა ახალი სარეკლამო სააგენტო "აუტდოორ.გე", რომელმაც მთელი ბაზრის 26,8% დაიკავა და პირველია კონსტრუქციების წილის ამ მაჩვენებლით, მას მოჰყვება სააგენტო "ალმა +" - 21,73%. მარტის თვის მონაცემებით, თბილისში გარე რეკლამის კონსტრუქციათა საერთო რაოდენობამ 1023 კონსტრუქცია შეადგინა. წარმოგიდგენთ მარტის თვის 5 ლიდერ სააგენტოს (ცხრილი №4,5).

ამ გრაფიკზე მოცემულია გარე რეკლამის ბაზრის ლიდერი სარეკლამო სააგენტოების მარტის თვეში აუთვისებელ კონსტრუქციათა წილები (ცხრილი №6).

საქართველოში ყველაზე დიდი პოპულარობით სატელევიზიო რეკლამა სარგებლობს და მისი წილი ბაზარზე 79%-ია, მას მოსდევს პრესა - 8,9%-ით, შემდეგ მოდის გარე რეკლამა - 6,6%-ით, რადიო კი - 5,7%-იანი წილით - ბოლო ადგილზე მოხვდა. ექსპერტები აღნიშნავენ, რომ სარეკლამო ბიზნესი ისეთივე მგრძნობიარეა, როგორც ნებისმიერი სხვა. ომის შედეგად ქართულ ეკონომიკაში დაწყებული რყევები ბიზნესის ყველა სფეროს ჯაჭვისებური რეაქციით გადაედო. ექსპერტების მოსაზრებით, სარეკლამო ბაზარზე მდგომარეობა არაპროგნოზირებადია და მისი გამოცოცხლება მას შემდეგ დაიწყება, რაც ბიზნესის სხვა სფეროები გააქტიურდებიან. ჯერჯერობით კი არავინ იცის, ამა თუ იმ სფეროში მდგომარეობის გააქტიურება როდიდან გახდება შესამჩნევი.

ახალი მცირე ჰიდროელექტროსადგური USAID-სგან

სალომე ძაძამია

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტომ ოკამის მცირე ჰიდროელექტროსადგურის რეაბილიტაცია განახორციელა. ჰესის მშენებლობა 2003 წელს დაიწყო. ოკამის მცირე ჰესის ახალი მფლობელის - შპს "ალმის" და პროგრამის "ენერგეტიკის განვითარება სოფლად" მიერ ახლახან დასრულდა ობიექტის რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია, რომლის საერთო ღირებულებამ 550 000 აშშ დოლარი შეადგინა. შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტომ სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის გრანტის სახით 119 000 აშშ დოლარი გასცა, დარჩენილი თანხა კერძო ინვესტიციის და კომერციული სესხის საშუალებით დაფინანსდა. პროგრამამ "ენერგეტიკის განვითარება სოფლად", ფინანსური დახმარების გარდა, მფლობელებს და ინვესტორებს გაუწია ტექნიკური დახმარება და ჩაუტარა ტრენინგი. რეკონსტრუქციის შემდეგ ოკამის ჰესი შიდა ქართლის რეგიონის მოსახლეობის და ბიზნესსაქმიანობისათვის 1600 კვტ ეკოლოგიურად სუფთა, განახლებად ენერგიას გამოიმუშავებს.

ოკამის ჰესი არის რვა მცირე ჰესიდან ერთ-ერთი, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარებით გაიხსნა. ოთხწლიანი პროგრამის "ენერგეტიკის განვითარება სოფლად" ბოლო წელი მიმდინარეობს. პროგრამის 11.5 მილიონიანი ინიციატივა საქართველოს ენერგოსისტემას 10 მეგავატზე მეტი ეკოლოგიურად სუფთა, განახლებადი ენერგიით შეავსებს.

ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი: "მე ვამაყობ ამ პროგრამით, რომელსაც რამდენიმე წელია USAID-ი საქართველოში ახორციელებს და რომელსაც "ენერგეტიკის განვითარება სოფლად" ჰქვია. პროექტის ფარგლებში ოკამის მცირე ზომის ჰიდროელექტროსადგური არის მეხუთე, რომელის გახსნასაც პირადად ვესწრები. სულ თორმეტი ჰესი უნდა ამუშავდეს, რომელიც შემოიტანს დამატებით 10 მეგავატს ქართული ენერგიის სისტემაში და ხელს შეუწყობს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებას. აღნიშნული პროექტის დახმარებით რეგიონებში ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება."

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრ ალექსანდრე ხეთაგურის განცხადებით, მცირე ჰესების აღდგენა ქვეყნის ენერგეტიკისთვის მნიშვნელოვანია როგორც ენერგოდამოუკიდებლობის, ისე დასაქმების მხრივ. პროგრამით გათვალისწინებული ყველა ჰესის რეაბილიტაციის შემდეგ ახალი სამუშაო ადგილები იქმნება, სადაც მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობა საქმდება.

"ამ პროგრამის ფარგლებში უკვე მეექვსე მცირე ჰიდროელექტროსადგური გაიხსნა და ჯამში 20 მეგავატამდე სიმძლავრე გვაქვს გაშვებული. პროგრამა ენერგეტიკის განვითარებას აფინანსებს, USAID-ი ახდენს გრანტების გაცემას და თანადაფინანსებას მცირე ჰიდროელექტროსადგურებისთვის. ძირითადად, ჰესები კერძო კაპიტალია, თუმცა 40-50%-ი USAID-ის გრანტით არის დაფინანსებული. USAID-ის პროექტის დახმარებით მაღლდება ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოება და ამავდროულად გვეხმარება ჩვენი ჰიდრორესურსების საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში, რომელიც ეკონომიკის ზრდის წინაპირობაა. მნიშვნელოვანია ისიც, რომ როგორც წინა ჰესების შემთხვევაში, ახლაც მთელი ტექნიკური ნაწილი საქართველოშია ნაწარმოები, დაწყებული გენერატორით, ტურბინითა და მართვის სისტემებით დასრულებული. საქმდება ახალგაზრდა პერსონალი, ისინი ამ მიმართულებებს ითვისებენ და ჩვენ გამოვიყენებთ მათი როგორც კვალიფიციურ სპეციალისტებს ისეთ დიდ პროექტებში, როგორიც არის ხუდონი, ონის კასკადი და ა.შ." - განაცხადა საქართველოს ენერგეტიკის მინისტრმა ალექსანდრე ხეთაგურმა.

საქართველოში ორი დღით იმყოფებოდა ევროპის და ევრაზიის აშშ-ს დახმარების კოორდინატორი დანიელ როზენბლუმი, რომელმაც ოკამის ახალი მცირე ჰიდროელექტროსადგური პირადად დაათვალიერა.

ევრაზიის აშშ-ს დახმარების კოორდინატორი დანიელ როზენბლუმი: "ენერგეტიკული პროექტები თქვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. შეერთებული შტატები საქართველოს მხარს უჭერს ენერგოდამოუკიდებლობის მიღწევაში. საქართველოს შესაძლებლობა ექნება, საკუთარი ფართო ენერგეტიკული რესურსები ჰქონდეს. როგორც ცნობილია, შეერთებული შტატები საქართველოს ერთი მილიარდი დოლარით ეხმარება. ამ თანხის გარკვეული ნაწილი საქართველომ უკვე მიიღო. დანარჩენი ნაწილი დამტკიცების პროცესშია, კონგრესს კიდევ ერთხელ მივმართეთ თხოვნით, რომ თანხის ბოლო ნაწილში გათვალისწინებულ იქნას ენერგოპროექტები. და ეს მართლაც ასე იქნება."

მომხმარებლები და მათი უფლებები

შელახული უფლებები

ნათია აბაშიძე

სუპერმარკეტების ქსელი მომხმარებელში პოპულარობით სარგებლობს. ალბათ, ამით არის განპირობებული მისი ასე სწრაფი ტემპით "გამრავლება". თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს, რომ ამ საფირმო მაღაზიებში ყველაფერი ჩინებულად არის და მომხმარებელთა უფლებებს ისევე უფრთხილდებიან, როგორც სუპერმარკეტიების ვიტრინებისა და დახლების მორთვა-მოკაზმვას.

"საიდუმლო მყიდველი" ერთი კვირის განმავლობაში ერთ-ერთი ცნობილი სუპერმარკეტის (მას შეგნებულად არ ვასახელებთ) რამდენიმე მაღაზიის "კლიენტი"იყო და მისი სერვისით მაინცდამაინც აღტაცებული არ დარჩენილა.

"საიდუმლო მყიდველი" პირველად ვაჟა-ფშაველას დასაწყისში მდებარე სუპერმარკეტს ესტუმრა. "კლიენტი" მეგობართან წასასვლელად ემზადებოდა და ბუნებრივია, სტუმრად ხელცარიელი მისვლა არ სურდა. პროდუქტების იმ ფართო ასორტიმენტიდან, რომელიც ამ მაღაზიაში დაგვხვდა, არჩევანი შოკოლადის ნაკრებსა ("ბამბანერკა") და ერთ ბოთლ შამპანურზე შევაჩერეთ. შოკოლადის ნაკრებზე მითითებული ფასით, ის ათი ლარი და თხუთმეტი თეთრი ღირდა, ხოლო შამპანიური - რვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი.

"კლიენტმა", "საკონტროლო შესყიდვის" მიზნით, აიღო შამპანური, შოკოლადის ნაკრები და სალაროსკენ გაემართა. რა თქმა უნდა, უკვე გამოთვლილი ჰქონდა თანხა, რომელსაც მოლარე დაუანგარიშებდა - 18 ლარი და 65 თეთრი.

მოლარემ "გაატარა" შამპანური და შოკოლადის ნაკრები კოდების მიხედვით სალაროში და "კლიენტს" 22 ლარისა და 65 თეთრის გადახდა მოსთხოვა, თან დააყოლა:

- პარკი გინდათ?! 15 თეთრი ღირს.

- უკაცრავად, რამდენი მითხარით?!

- 22 ლარი და 80 თეთრი პარკიანად.

- რატომ?

- რა, რატომ?

- რატომ 22 ლარი?! "ბამბანერკა" რამდენი ღირს?

- ათი ლარი და თხუთმეტი თეთრი

- შამპანიური?!

- თორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი

- გეშლებათ! შამპანური რვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი ღირს

- ვინ გითხრათ?

- ფასმა, რომელიც წერია, იქ, სადაც ეს შამპანური იდო

- ეგ ფასი არ წერია

- წერია, მობრძანდით და ნახეთ

მოლარე ადგა და "კლიენტს" გაჰყვა.

- რა წერია?!

- რვა ლარი და ორმოცდაათი თეთრი

- აბა, მე რა გითხარით?!

- ერთი წუთით, ეს ამ შამპანურის ფასი არ არის, კოდს უნდა შეხედოთ

- წერია აქ 8 ლარი და 50 თეთრი, სადაც შამპანიურის ეს ბოთლი იდო?! კოდს, თანაც ასე წვრილად დაწერილს, როგორ უნდა დავაკვირდე?!

- რა ვქნა, ვერაფერს შევცვლი... ჩეკი უკვე ამოვარტყი

- მერე რა, როგორც გინდათ, ისე შეცვალეთ, ჩემი ბრალია, ფასი სწორედ რომ არ გაქვთ მიწერილი?!

- კი მაგრამ, ვერ უნდა მიხვდეთ, შამპანიური 8 ლარი რომ არ ეღირება?! ვერაფერს შევცვლი...

- თქვენს უფროსს გადაეცით, ფასები სწორად დააწეროს ყველაფერს. იცით, რატომ აკეთებთ ამას, რომ ღირს სხვა ფასი და აწერთ - სხვას?! კლიენტებზე აკეთებთ გათვლას. სალარომდე რომ მოვა და განსხვავებულ ფასს ეტყვით, სამი-ოთხი ლარის გამო, თავს ხომ არ შეირცხვენს?! და უკან ხომ არ დაბრუნებს საქონელს?! ეს პირველი შემთხვევა არ არის. საერთოდ, ტენდენციაა ასეთი სუპერმარკეტებში.

აღშფოთებულმა "საიდუმლო მყიდველმა" დატოვა იქაურობა და რამდენიმე დღეში ვაჟა-ფშაველას მეორე კვარტალში მდებარე იგივე სუპერმარკეტს მიადგა. აქ "საკონტროლო შესყიდვა" სამზარეულოში განახორციელა.

- ქათმის სალათი ამიწონეთ თუ შეიძლება, ასი გრამი

გამყიდველი ზლაზვნით წამოიმართა დახლის კუთხიდან, თუმცა მობილურ ტელეფონზე საუბარი არ შეუწყვიტავს.

- რამდენისაა?!

- სალაროზე წერია, - რეპლიკის სახით ისროლა გამყიდველმა და საუბარი მშვიდად განაგრძო.

- ჭარხლის სალათიც ამიწონეთ.

- რამდენი?

- ესეც ასი გრამი და იქნებ ტელეფონზე საუბარი შეწყვიტოთ, დროებით მაინც.

- თქვენ რას გიშლით?!

- დაბნეული მომსახურებით, კონცენტრირებული არ ხართ, როგორც ჩანს, მანდ უფრო საინტერესო თემებზე გესაუბრებიან.

- თქვენ ჩემი საუბარი ხელს არ გიშლით.

- მიშლის, იქნებ უთხრათ თქვენს თანამოსაუბრეს, რომ მოგვიანებით დაგირეკოთ?!

გამყიდველმა უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ტელეფონში და გათიშა

- ერთი ლობიანი მინდა.

გოგონამ ცელოფანი აიღო, საჩვენებელი თითი ენაზე კარგად გაისვა და პარკის გახსნა დააპირა.

- სტოპ! არა! სხვა პარკი აიღეთ, თუ შეიძლება...

- რატომ?

- არ არის წესი, ენა გაუსვათ თითს და ასე გახსნილ პარკში ჩამიდოთ ის ლობიანი, რომელიც მე უნდა მივირთვა. არ მინდა თქვენი ენაგასმული თითით გახსნილი პარკი, გასაგებია?!

- ლობიანი ისე ავიღე, რომ ის ადგილი არ შეხებია.

"საიდუმლო კლიენტი" მომდევნო დღეს იგივე სუპერმარკეტში (რომელიც პავლოვზე მდებარეობს), შევიდა და თევზი შეიძინა. სახლში მიტანილი გაყინული თევზი გალღვა და ფაფისებრი მასა გახდა. მეორე დღეს იგი წინა დღეს შეძენილი საქონლით, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო თევზთან, სუპერმარკეტში მივიდა და მენეჯერთან შეხვედრა მოითხოვა.

- შეკითხვა მაქვს - თქვენი აზრით ეს რა არის? - ასეთი კითხვით მიმართა მან მენეჯერს, რომელმაც დახედა გათქვეფილ მასას, შემდეგ დაყნოსა და დაასკვნა:

- თევზის მძაფრი სუნი აქვს..

- ეს ფაფა, რომელსაც თევზთან მხოლოდ სუნი აკავშირებს, გუშინ თქვენს მაღაზიაში შევიძინე...

- ხოო, ალბათ გადნა და...

- რომ მოვწამლულიყავი?

- ხო, მოინამლებოდით, იცით, პროდუქტის ხარისხზე პასუხს ჩვენ არ ვაგებთ, საწყობიდან მოაქვთ ასე გაყინული, იქ დიდხანს აწყვია ხოლმე და ალბათ... ფულს დაგიბრუნებთ...

"საიდუმლო მყიდველის" ეს ვიზიტი იმით დასრულდა, რომ ფაფად ქცეული თევზი გამყიდველმა აწონა, გამოაკლო ყინულის წონა და იმედგაცრუებულ მომხმარებელს ნაცვლად 15 ლარისა, დაუბრუნა 10 ლარი - 5 ლარი ყინულის ფასი აღმოჩნდა, რომელიც უვარგის პროდუქტს ხარისხს ანიჭებს.

კანონი, რომელიც უნდა ვიცოდეთ

თამარ კაკიტაძე

მომხმარებელთა უფლებების დაცვა ყოველთვის აქტუალური თემა იყო. არაერთხელ გაგვიგია: "ესა და ეს ცუდ სერვისს სთავაზობს საზოგადოებას" ან "მეორედ ამ მაღაზიაში არ შევალ..." - ყოველივე ეს დაკავშირებულია ქვეყანაში მომხმარებელთა უფლებებთან, რომელსაც ქართული კანონმდებლობა არეგულირებს და იცავს. თუმცა, მომხმარებელთა დიდმა ნაწილმა ნამდვილად არ იცის საკუთარი უფლებების თაობაზე და არც იმის შესახებ გააჩნია ინფორმაცია, როგორ იბრძოლოს მის დასაცავად.

როგორია "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" კანონის მოქმედება საქართველოში, რამდენად საჭიროა იგი, ან რამდენად იყენებს მას ქართული საზოგადოება საკუთარი უფლებების დასაცავად? - მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ ასპექტებზე გთავაზობთ ინტერვიუს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორ ირაკლი ყანდაშვილთან.

- "მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ" საქართველოს კანონი თავისი ბუნებით ნამდვილად მნიშვნელოვანია, იქიდან გამომდინარე, რომ აბსოლუტურად ყველას ეხება, რადგან თითოეული ჩვენთაგანი ყოველდღიურ ცხოვრებაში და გარკვეულ ურთიერთობებში მომხმარებელია მომსახურების და პროდუქციის, ხოლო ის თუ რა სახის მომსახურებას ვიღებთ თუ პროდუქციას ვიძენთ, ამ ყოველივეს მოსაწესრიგებლად ზემოაღნიშნული კანონი უპირველესად გამოსაყენებელია. საზოგადოებამ ამ კანონის შესახებ მეტი უნდა იცოდეს, რადგან ის რეალობა, მომხმარებელთა უფლებების დარღვევის კუთხით, რაც დღეის მდგომარეობით საქართველოშია ნაწილობრივ შესაძლოა კანონის უცოდინრობითაც იყოს გამოწვეული.

თბილისში ხშირია შემთხვევა, არაერთხელ გამიგია, რომ მაღაზიაში თუ შედის პირი და რაიმეს მოირგებს ან შეათვალიერებს, შეკითხვას დაუსვამს გამყიდველს დიდ უკმაყოფილებას იწვევს მომსახურე პერსონალში, არადა ეს ხომ ჩვენი, როგორც მომხმარებლის უფლებაა და გამყიდველი იქნება თუ მომსახურების მიმწოდებელი ამ ჩვენს უფლებას პატივისცემით უნდა მოეკიდოს. ეს უფლება მეორეს მხრივ, მისი მოვალეობაა.

როდესაც პროდუქციაზეა საუბარი აუცილებლად უნდა აღინიშნოს რომ სამოქალაქო კოდექსში სპეციალური თავია მოცემული, რომელიც ეხება უხარისხო პროდექციით გამოწვეული ზიანის პასუხისმგებლობის საკითხებს და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პროდუქტი უხარისხოდ ითვლება მაშინ, თუ იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებთ მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან.

კანონის თანახმად, მწარმოებლად მიიჩნევა ის პირი, ვინც აწარმოა საბოლოო პროდუქტი, ასევე ყველა ვინც საკუთარი სახელით, სასაქონლო ან სხვაგვარი განმასხვავებელი ნიშნით გამოდის, როგორც მწარმოებელი, ხოლო თუ მწარმოებლის დადგენა შეუძლებელია, მაშინ ყოველი მიმწოდებელი მიიჩნევა მწარმოებლად.

- კანონით მომხმარებელთა უფლებების შესახებ რისი უფლება გვაქვს ჩვენ მომხმარებლებს, ან რა ვალდებულებები გააჩნია პროდუქციის თუ მომხახურების გამყიდველს?

- ყველა მომხმარებელს აქვს უფლება მოითხოვოს საქონლის, სამუშაოს ან სხვა სახის მომსახურების სტანდარტთან შესაბამისი სათანადო ხარისხი, პროდუქციის უსაფრთხოება, სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქციის ხარისხზე და მის მწარმოებელზე, ჩვენი უფლებაა მოვითხოვოთ არასათანადო ხარისხის მქონე და ან მომხმარებლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ქონებისათვის საზიანო პროდუქციით თუ მომსახურებით გამოწვეული ზარალის ანაზაურება, ისევე, როგორც საკუთარი უფლებების დაცვა სასამართლოს მეშვეობით.

მომხმარებელს იმის უფლებაც აქვს და ეს საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რომ თუ სახეზეა მსხვილგაბარიტიანი საქონელი, 5კგ-ზე მეტი წონის და მას აღმოაჩნდა ნაკლი, მომხმარებელს შეუძლია იგი შესაცვლელად, შესაკეთებლად, ჩამოსაფასებლად მიიტანოს გამყიდველის ხარჯებით, ანუ გამყიდველი ვალდებულია მომხმარებელს აუნაზღაუროს საქონლის მიტანისა და დაბრუნების ხარჯები.

თავის მხრივ, უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი პასუხს აგებს გამოწვეული ზიანისათვის. იმ შემთხვევაში თუ ზიანის დადგომა გამოიწვია დაზარალებულის ან მის ნაცვლად პასუხისმგებელი პირის ბრალეულმა მოქმედებამ მაშინ მწარმოებლის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა მცირდება ან საერთოდ გამოირიცხება.

ქართული რეალობიდან გამომდინარე, საინტერესოა ის გარემოებაც, რომ მწარმოებელი ვალდებულია ჰქონდეს საქმიანობის პროფილისა და ორგანიზაციის ფორმების, საწარმო სახელწოდების და მუშაობის რეჟიმზე ინფორმაციის შემცველი აბრა, ხოლო მომხმარებელს სრული უფლება აქვს მოითხოვოს გამყიდველის მუშაობის რეჟიმი შეესაბამებოდეს მათ მიერ წინასწარ გამოცხადებულ პირობებს. კიდევ ერთი მოუწესრიგებელი საკითხი ქართული რეალობიდან: ხშირია შემთხვევები, როდესაც პირი იძენს მაღაზიაში რაიმეს და აღნიშნულის ყიდვის ფაქტის დამადასტურებელი სასაქონლო ქვითარი თუ ანგარიშფაქტურა არ გაიცემა, მაშინ, როდესაც კანონი მსგავსი დოკუმენტის გაცემას ავალდებულებს გამყიდველს. აქვე იმის აღნიშვნაც მსურს, რომ ვადაგადაცილებული საქონლით ვაჭრობა კანონით აკრძალულია, თუმცა ესეთი შემთხვევები ძალზედ ხშირია.

- სასამართლოსათვის მიმართვისას რა შეიძლება მოითხოვოს მომხმარებელმა?

- სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება გამყიდველისათვის, დამამზადებლისათვის თუ შემსრულებლისათვის ჯარიმის დაკისრების შესახებ, ხოლო საჯარიმო თანხა განისაზღვრება მომხმარებლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნებაყოფლობითი წესის დაუცველობისათვის სარჩელის ფასის ოდენობით. მომხმარებელს შეუძლია მოითხოვოს საქონლის ნაკლოვანების აღმოფხვრა ან ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად გაწეული ხარჯების ანაზღაურება, შესასყიდი ფასის შესაბამისი შემცირება, ზარალის ანაზღაურება, ანალოგიური მარკის, მოდელის საქონელზე გაცვლა, იმავე სახის სხვა მარკის საქონლით შეცვლა ფასის გადაანგარიშებით.

- თბილისში ხშირად ვაწყდებით შემთხვევას როდესაც მაღაზიაში შემდეგი შინაარსის სპეციალური განცხადებაა გამოკრული: გაყიდული საქონელი უკან არ ბრუნდება", ეს რამდენად არის გამართლებული?

- კანონის თანახმად, მწარმოებლის პასუხიმგებლობა უხარისხო პროდუქტისათვის არ შეიძლება წინასწარ არც გამოირიცხოს და არც შეიზღუდოს, ნებისმიერი სხვა შეთანხმება ბათილია. თუმცა აღნიშნული კანონის მოთხოვნას იგნორირებას უკეთებენ გამყიდვლები.

- პრაქტიკაში, რეალურ, ყოველდღიურ ცხოვრებაში იყენებს მომხმარებელი კანონს, რომელიც მის უფლებებს იცავს?

- ასეთი რამ ნამდვილად არ გამიგია, ყოველ შემთხვევაში, ძალზედ მწირია შემთხვევები იმისა, რომ მომხმარებელს საკუთარი უფლებების დასაცავად სასამართლოსათვის მიემართა და ამ კანონზე აპელირება მოეხდინა და პირიქით, ძალიან ბევრისგან გამიგია, რომ ან ძველი პროდუქცია იყიდა ან უხარისხო ნაწარმი იყიდა, ან თუნდაც ისეთი გავრცელებული შემთხევვა, როგორიცაა ჩვენი, ანუ მომხმარებლების ცუდი ხარისხის ინტერნეტით მომარაგება, მაშინ როდესაც ხელშეკრულებაში მიმწოდებელი უმაღლესი ხარისხის და სწრაფი ინტერნეტის მიწოდებაზე იღებს ვალდებულებას. ეს ნამდვილად ცუდი პრაქტიკაა, ერთი მხრივ, სამართლებრივი კუთხით სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის და მეორე მხრივ, უხარისხო პროდუქციისა თუ მომსახურების გამწევთა წახალისებისათვის. საქართველოში რატომღაც ერიდებათ მოქალაქეებს სასამართლოში წასვლა საკუთარი, მომხმარებლის დარღვეული უფლებების დასაცავად, არადა, განვითარებული და შემდგარი სამოქალაქო საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პირველი ნიშანია - როდესაც მოქალაქე საკუთარ უფლებებს იცავს, ეს ერთგვარი პრევენციაც არის, იქიდან გამომდინარე, რომ თუ ჩვენ "სათანადოდ სამართლებრივად დავსჯით" უხარისხო პროდუქციის მომწოდებელს თუ მომსახურების გამწევს, სხვა მისი მსგავსი ანალოგიურად მოქცევის სურვილს დაკარგავს.

- როგორ გგონიათ, რა შეიძლება იყოს გამოსავალი?

- გამოსავალი მარტივია: უპირველესად, ქვეყანაში სამოქალაქო საზოგადოება უნდა ჩამოყალიბდეს, რათა მომხმარებელთა უფლებები სამართლებრივი კუთხით მოწესრიგდეს, მოქალაქეებს არ უნდა ერიდებოდეთ მსგავსი უფლებების დარღვევის შემთხვევაში სასამართლოსათვის მიმართვა. და მესამე, სასამართლოსათვის მიმართვა ეფექტური და ხელმისაწვდომი უნდა იყოს ჩვენი მოქალაქეებისთვის, აქ იმას ვგულისხმობ, რომ პროცესის ხარჯი, რაც მხარემ უნდა გასწიოს ელემენტარულად მისი მოთხოვნის საგანზე ძვირი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომხმარებელი სასამართლოს არ მიმართვას და მისი უფლება დარღვეული დარჩება ან რაიმე სხვა არასამართლებრივი გზით შეეცდება პრობლემის მოგვარებას.

ღრმა მწუხარებას
გამოვთქვამთ ბატონი
ოთარ
სახამბერიძის
გარდაცვალების გამო და
სამძიმარს ვუცხადებთ
მიცვალებულის ოჯახს

ნინო, ლევანი, კახა, ქეთი,
ლევანიკო მახვილაძეები

საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის ინიციატივით ცხადდება 2009 წლის სასწავლო - სამაგისტრო პროგრამა!

გრანტი გაიცემა უმაღლესი განათლების მქონე საქართველოს სრულწლოვან მოქალაქეს, რომლის ასაკი არ აღემატება 40 წელს და რომელიც მაგისტრის აკადემიური ხარისხის მიღების მიზნით ჩაირიცხა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

გრანტის მისაღებად დარეგისტრირება შესაძლებელია 2009 წლის 31 მარტიდან ა.წ. 26 ივნისამდე.

დამატებითი ინფორმაციისვის იხილეთ ვებ. გვერდი WWW.DRF.ORG.GE ; ტელ: 996 723; 93 28 53.

მაგთი
MAGTI

აირჩიეთ ნებისმიერი რაოდენობის **საყვარელი ნომერი**
და 30 დღის განმავლობაში ესაუბრეთ მათ

უფასოდ!

საყვარელი ნომრის ასარჩევად აკრიფეთ
*** 123 # OK** და მიჰყევით ინსტრუქციას.

- საყვარელ ნომრებად შეგიძლიათ აირჩიოთ მაგთის, ბალის ან მაგთი ფიქსის ნომრები.
- თითოეული ნომრის არჩევის ღირებულებაა 10 ლარი.

ინფორმაციისათვის დარეკეთ: 5239

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

1. ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა აცხადებს ტენდერს რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქინძმარაულის II შესახვევის 2ა-დან მოსკოვის გამზირის 48ა-ს შემაერთებელი ქუჩისა და სოფელ ფონიჭალის ცენტრალური გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება:

- ქინძმარაულის II შესახვევის 2ა-დან მოსკოვის გამზირის 48ა-ს შემაერთებელი ქუჩა. სიგრძე 126 მ, საერთო ფართობი 1523 მ2;

- სოფელ ფონიჭალის ცენტრალური გზა. იწყება თბილისი-რუსთავის ცენტრალური გზიდან. სიგრძე 957 მ, საერთო ფართობი 4363 მ2.

2. მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 2009 წლის 15 აგვისტომდე.

3. დაინტერესებულმა პირებმა განაცხადი ტენდერში მონაწილეობის სურვილის შესახებ, საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება ერთ დახურულ კონვერტში დედნის ან ნოტარიულად დამოწმებული ასლების სახით ქართულ ენაზე უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 2009 წლის 9 ივნისის 11 საათიდან 14-სთ-მდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

4. პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

4.1. იურიდიული პირისათვის:

ა) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან რომ არ ხორციელდება მისი რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ბ) ცნობას სასამართლოდან ადგილმდებარეობის მიხედვით რომ არ მიმდინარეობს მისი გაკოტრების საქმის წარმოება;

გ) ცნობას საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილობრივი ორგანოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;

დ) სამეწარმეო რეესტრის ამონაწერს.

4.2. ფიზიკური პირისათვის:

ა) ცნობას შესაბამისად უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედითუნარიანია;

ბ) ცნობას სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება.

4.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირისათვის:

ა) ინფორმაციას ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ბ) ინფორმაციას ტენდერში მონაწილის მომუშავეთა კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ;

გ) ინფორმაციას სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების შესახებ;

დ) ცნობას საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ;

ე) ცნობას მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ.

5. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება, ან ვერ დააკმაყოფილებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პირის დისკვალიფიკაცია შესყიდვის ნებისმიერ ეტაპზე, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების დადებამდე.

6. პრეტენდენტის მიერ სატენდერო განცხადების მე-4 პუნქტის შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება.

7. 200 (ორასი) ლარის ოდენობის სატენდერო მოსაკრებლის გადახდის შემდეგ, (ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო შემოსავლებისათვის აN200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სახაზინო კოდი: 300773174; დანიშნულება-სატენდერო მოსაკრებელი, რაიონის ტერიტორიაზე არსებული ქინძმარაულის II შესახვევის 2ა-დან მოსკოვის გამზირის 48ა-ს შემაერთებელი ქუჩისა და სოფელ ფონიჭალის ცენტრალური გზის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის ტენდერი, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა) სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა 2009 წლის 18 მაისიდან 2009 წლის 8 ივნისის 12 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველებს უფლება აქვთ სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

9. ტენდერში სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება გარანტირების მექანიზმი-საბანკო გარანტიის ფორმით, სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით.

10. ტენდერის შედეგად გამოვლენილ გამარჯვებულთან ხელშეკრულების გაფორმებისას გამოყენებული იქნება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი-საბანკო გარანტიის ფორმით, ხელშეკრულების ღირებულების 2%-ის ოდენობით.

11. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: რამაზი დიღმელაშვილი, საკონტაქტო ტელეფონი: 893100011, მისამართზე: ქ.თბილისი, მოსკოვის გამზირი N14, ისანი-სამგორის რაიონის გამგეობა.

სატენდერო კომისია

პაციენტების საყურადღებოდ !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი გთავაზობთ **ულტრასონოგრაფიის** (ექოსკოპიის) მიმართულებით ბოლო თაობის, 2008 წლის აპარატურას და უახლეს **ექოსკოპიურ** ტექნოლოგიებს, რომელთა გამოყენებით ტარდება **ექოსკოპიური** გამოკვლევები კლინიკური მედიცინის ყველა მიმართულებით.

პაციენტების მიღება წარმოებს წინასწარი ჩაწერით.

მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის
სამედიცინო ცენტრი თბილისი, თენგიზ აბულაძის 20, (ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)
ტელ.: 91 31 19; 91 32 42;

„თამილის ვეფხვების„ სევდიანი დასასრული

მარიკა იაშვილი

26-წლიანი ომი დასრულდა. შრი-ლანკაში "თამილ-ილამის გათავისუფლების ვეფხვების" დაჯგუფების წევრმა მეამბოხეებმა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში დამარცხება აღიარეს.

"თამილის ვეფხვების" წარმომადგენლებმა დამარცხებისა და იარაღის დაყრის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთეს. **"ეს ბრძოლა სევდიან დასასრულს მიუახლოვდა,"** - განაცხადა ერთ-ერთმა ამბოხებულმა პრო-თამილურ საიტ Tamilnet-ის მეშვეობით.

განცხადებაში ნათქვამია, რომ მეამბოხეები მზად არიან, დაყარონ იარაღი, **"თუ ეს ის არის, რაც საერთაშორისო საზოგადოებას თამილის ხალხის სიცოცხლისა და ღირსების გადასარჩენად სჭირდება."**

"ერთადერთი არჩევანი გვრჩება - ჩვენი ხალხის დაღუპვის გამო მტრისგან ბოდიშის მოხდას მივაღწიოთ," - ნათქვამია განცხადებაში.

სულ ცოტა ხნის წინ ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს ალყაში მოქცეული და დამარცხებული "თამილის ვეფხვები" მასობრივი თვითმკვლელობის მოწყობას აპირებდნენ. ამის შესახებ შრი-ლანკის თავდაცვის სამინისტროს პრესსამსახური ამბოხებულთა რადიოტალღის დაჭერით მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით იუწყებოდა.

სამთავრობო ძალების წარმომადგენელთა განცხადებით, ასეთი სასოწარკვეთილი ნაბიჯის მიზეზი ქვეყნის არმიის მიერ კონფლიქტის ზონაში მთელი სანაპირო ზოლის დაკავება გახდა, რამაც "ვეფხვები" ზღვას მოსწყვიტა და მეთევზეთა პატარა სოფელში ლაგუნასა და სამთავრობო ძალებს შორის ბლოკადაში მოაქცია.

მეამბოხეთა მიერ მითვისებული მთელი ტერიტორიის საბოლოოდ გათავისუფლების ერთადერთ ბარიერად მშვიდობიანი მოსახლეობა რჩებოდა, რომელსაც სეპარატისტები ფარად იყენებდნენ.

AFP ' 2009

არმია ჯერ კიდევ განაგრძობს "თამილის ვეფხვების" წინააღმდეგობის კერებთან ბრძოლას.

შრი-ლანკის ხელისუფლება "ვეფხვების" წინააღმდეგ ბრძოლის დასკვნით, სამწლიან ნაწილს ტყვეთა გათავისუფლების მსოფლიოში ყველაზე მსხვილმასშტაბიან ოპერაციას უწოდებენ.

მიუხედავად ამისა, ამბოხებულები აცხადებენ, რომ კონფლიქტს ბევრი სამოქალაქო პირის სიცოცხლე ემსხვერპლა. მათი მტკიცებით, მხოლოდ გასული დღე-ღამის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში 3 ათასზე მეტი მშვდობიანი მცხოვრები დაიღუპა, ხოლო 25 ათასზე მეტი მძიმედ დაიჭრა.

მთელი გასული კვირის განმავლობაში "თამილის ვეფხვები" სამთავრობო ძალების მიერ საველე საავადმყოფოების დაბომბვის შესახებ ავრცელებდნენ ინფორმაციას, რაც, მათი განცხადებით, რამდენიმე ათეული ადამიანის გარდაცვალების მიზეზი გახდა.

ეს ინფორმაცია წინააღმდეგობაში მოდის შრი-ლანკის ხელისუფლების მიერ გავრცელებულ მონაცემებთან. თუმცა კონფლიქტის რეალური შედეგების დადგენა და რომელიმე მხარის მონაცემების გადამოწმება ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

კვირას შრი-ლანკელმა სამხედროებმა განაცხადეს, რომ ტერიტორია, სადაც "თამილის გათავისუფლების ვეფხვების" წინააღმდეგ საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, ყველა მშვიდობიანმა მოქალაქემ დატოვა.

მხოლოდ ბოლო სამი დღის განმავლობაში საომარი მოქედებების ზონიდან, დაახლოებით, 50 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე გაიქცა.

აღსანიშნავია, რომ გადარჩენილი სამოქალაქო პირების შესახებ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გავრცელებული მონაცემები ნდობას არ იმსახურებს, რადგან ოფიციალური შრი-ლანკა მუდმივად ამცირებდა კონფლიქტის ზონაში მცხოვრები მშვიდობიანი მოსახლეების რაოდენობას. გარდა ამისა, ამა თუ იმ მონაცემების რეალურობის დამოუკიდებელი მტკიცებულება არ არსებობს.

სამხედროების განცხადებით, არმია ჯერ კიდევ განაგრძობს "თამილის ვეფხვების" წინააღმდეგობის კერებთან ბრძოლას.

არმიაში აცხადებენ, რომ ბრძოლებს 70 მეამბოხე ემსხვერპლა, რომლებიც ალყისთვის თავის დაღწევას ნავით ცდილობდნენ.

შაბათს შრი-ლანკის პრეზიდენტმა მაჰინდა რაჯაპაკსამ აჯანყებულებზე სრული გამარჯვების შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა და აღნიშნა, რომ 26-წლიან სისხლისმღვრელ სამოქალაქო ომს ბოლო მოეღო. იორდანიაში ვიზიტის ფარგლებში მან განაცხადა, რომ ვიზიტის დასრულების შემდეგ ის ბოევიკთა "ბარბაროსული ქმედებებისგან" სრულიად გათავისუფლებულ ქვეყანაში დაბრუნდება.

"სიამაყით გაცნობებთ, რომ ჩემმა მთავრობამ, ჩვენს შეიარაღებულ ძალებთან ერთად, "თამილის გათავისუფლების ვეფხვების" შეიარაღებული ფორმირების განადგურებით უპრეცედენტო ჰუმანიტარული ოპერაცია ჩაატარა," - განაცხადა რაჯაპაკსამ.

თუმცა პრეზიდენტს ერთი სიტყვაც არ უთქვამს იმ წინააღმდეგობის შესახებ, რომელსაც დარჩენილი ბოევიკები და მათი მეთაურები სამთავრობო ძალებს ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთით, სანაპირო ზონაში უწევენ.

თავის მხრივ შრი-ლანკის არმიის წარმომადგენელი აცხადებს, რომ კონფლიქტის ზონაში მცხოვრები 50 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე, რომლებსაც ბოევიკები ფარად იყენებდნენ, ახლა უსაფრთხოდ არიან.

კონფლიქტის მიმდინარეობისას 70 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ომის ბოლო კვირებს მუდმივად თან ახლდა საერთაშორისო საზოგადოების შეშფოთება იმის გამო, რომ ინტენსიური ბრძოლის ზონაში სამოქალაქო პირები ცხოვრობდნენ. ქვეყნის ხელისუფლების განცხადებით, უკანასკნელი 48 საათის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში 18 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე იმყოფებოდა.

გაერო-მ და დასავლეთის ქვეყნებმა შრი-ლანკის ხელისუფლებას მოუწოდეს, ომის დამთავრების შემდეგ "თამილის ვეფხვების" დევნაში თავშეკავება გამოიჩინონ.

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი გორდონ ბრაუნი ერთ-ერთი ბოლო სახელმწიფო ლიდერია, რომელმაც ამ საკითხზე თავისი მოსაზრება გამოთქვა. მან იმ მოვლენებზე ისაუბრა, რომლებიც შესაძლოა, შრი-ლანკაში იმ შემთხვევაში განვითარდეს, თუ ქვეყნის ხელისუფლება კონფლიქტს ერთხელ და სამუდამოდ არ მოუღებს ბოლოს.

არჩევნები ინდოეთში

მმართველი პარტია კვლავ სათავეშია

ივა ბილაკაძე

შაბათს ინდოეთში არჩევნები ჩატარდა, უფრო სწორად, დასრულდა 16 აპრილს დაწყებული 5-ეტაპიანი საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა მმართველმა "გაერთიანებულმა პროგრესულმა ალიანსმა", რომლის მთავარი ძალაა ტრადიციული "ინდოეთის ეროვნული კონგრესი" - მემარცხენე-ცენტრისტული საერო პარტია. პირველ ადგილზე გასულმა ალიანსმა 543-კაციან პარლამენტში 260 მანდატი მოიპოვა. მეორე ადგილზე გასულმა მათმა ძირითადმა კონკურენტმა "ეროვნულ-დემოკრატიულმა ალიანსმა", რომლის ლიდერია პარტია "ბხარატია ჯანატა", 157 მანდატი აიღო და უკვე აღიარა თავისი დამარცხება. მესამე ადგილზეა პარტია "მესამე ფრონტი" - 60 მანდატი. დანარჩენი ადგილები უფრო წვრილმა, ძირითადად, რეგიონული მნიშვნელობის პარტიებმა მოიპოვეს. არჩევნების წინასწარი შედეგები შაბათ საღამოსვე გახდა ცნობილი, რადგან "მსოფლიოში ყველაზე დიდ დემოკრატიულ ქვეყანაში" (ასე უწოდებენ ხშირად ინდოეთს, რომელშიც 714 მილიონი ამომრჩეველია) წელს გამოიყენეს ხმის მიცემისა და შედეგების

AFP ' 2009

მმართველი პარტია გამარჯვებას ზეიმობს.

დათვლის ელექტრონული სისტემა. არჩევნებში ამომრჩეველთა 60 პროცენტმა მიიღო მონაწილეობა, ეს მაჩვენებელი, წინა არჩევნებთან შედარებით, ორი პროცენტით არის გაუმჯობესებული.

ინდოეთი საპარლამენტო რესპუბლიკაა, შესაბამისად გამარჯვებული პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი პრემიერ-მინისტრის პოსტს იკავებს. კონსტიტუცია არ განსაზღვრავს, პრემიერი კოალიციამ უნდა წარადგინოს თუ გამარჯვებულმა პარტიამ, თუმცა ამ შემთხვევაში ყველაფერი ისედაც ნათელია - "ინდოეთის ეროვნული კონგრესის თავმჯდომარემ", რაჯივ განდის ქვრივმა სონია განდიმ (მან საკუთარი საარჩევნო უბანი ხმათა რეკორდული რაოდენობით მოიგო) განაცხადა, რომ პრემიერი ისევ მანმოხან სინგხი იქნება. პირველ ადგილზე გასულ ალიანსს, სულ რაღაც, 12 მანდატი დააკლდა, რომ მთავრობა დამოუკიდებლად შეექმნა, მაგრამ 12 დეპუტატის მიმხრობა წვრილი, რეგიონული პარტიებიდან არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს. მათ ამისთვის ორი კვირა აქვთ, პარლამენტმა მუშაობა 2 ივნისს უნდა დაიწყოს. აქედან გამომდინარე, მომდევნო ოთხი წელი ქვეყანას სათავეში საკმაოდ მყარი კოალიცია ეყოლება. უშუალოდ "ინდოეთის ეროვნული კონგრესის" შედეგი - 201 მანდატი - ბოლო 25 წლის განმავლობაში ერთი კონკრეტული პარტიისათვის რეკორდულია. "ინდოეთის ეროვნულ კონგრესს" გამარჯვება უკვე მიულოცეს უცხოელმა ლიდერებმა, მათ შორის აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ.

მმართველმა პარტიამ წინასაარჩევნო ბრძოლის დროს ეკონომიკური კრიზისის შედეგებთან ბრძოლაზე გააკეთა აქცენტი, ხოლო ოპოზიციურმა "ბხარატია ჯანატამ" (ამ პარტიასაც განდების წარმომადგენელი, ინდირა განდის შვილიშვილი 29 წლის ვარუნ განდი ხელმძღვანელობს, მაგრამ ის ოჯახიდან განდგომილად მიიჩნევა) გადასახადების შემცირებასა და ქვეყნიდან არალეგალურად გატანილი ფულის მოძიებაზე გაამახვილა ყურადღება. ინდოეთს მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის გამო მძიმე დღეები უდგას. ეკონომიკური განვითარების ტემპები 2004-2005 წლების მაჩვენებლებიდან (შესაბამსად 9 და 8 პროცენტი) წელს პროგნოზირებად 5 პროცენტამდეა შემცირებული, 620 მილიონი ინდოელის დღიური შემოსავალი 1,35 დოლარზე ნაკლებია. ქვეყანაში სერიოზულია რელიგიათშორისი დაპირისპირებაც.

CMYK - 8

სტაბილურობისთვის...
სიმშვიდისთვის...
გარანტირებული
სარგებლისთვის...
მიენდეთ საბანკო ჯგუფს, რომელსაც მსოფლიოში მილიონობით მეანაბრე ენდობა!

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჯგუფი სოსიეთე ჟენერალი

CMYK - 8

CMYK - 9

"მეგობარი" სნიპერი

გახსენი!



თანხის შეტანა - გატანა ნებისმიერ დროს

გამოტანა ნებისმიერი ბანკომატიდან

10% - მდე სარგებელი

თანხის გატანა ბანკ „რესპუბლიკის" ფილიალებიდან - უფასო

(822) 92 55 55
www.republic.ge

CMYK - 9

პრემიერა რუსთაველის თეატრში

20, 21, 28, და 29 მაისს შოთა რუსთაველის სახელობის სახემწიფო თეატრი და ახალგაზრდა რეჟისორი ნინო ლიპარტიანი თანამედროვე ქართველი დრამატურგის - ირაკლი სამსონაძის არაორდინალურ კომედიას „ყოფილების სარეცელი" წარმოგვიდგენენ. მთავარ როლებში ვიხილავთ ნანუკა ხუსკივაძესა და პაატა გულიაშვილს. სპექტაკლი მხატვრულად გააფორმა მირიან შველიძემ, ხოლო მუსიკალურად - მიშა მდინარაძემ. ორიგინალური მუსიკა სავარაუდოდ ამ სპექტაკლს დაუვიწყარ სანახაობად აქცევს.

24 საათი

კონსერვატორიასთან არსებული სამოსიკო სასწავლებელი გაიხსნა

თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან სამუსიკო სკოლა დაარსდა.

2009/2010 სასწავლო წლისათვის სამუსიკო სკოლა აცხადებს მიღებას I-XI კლასის ჩათვლით. სკოლაში ჩაირიცხებიან ის მოსწავლეები, რომლებიც წარმატებით გაივლიან გამოცდას შემდეგ სპეციალობებზე:

1. საფორტეპიანო
2. საორკესტრო სიმებიანი საკრავები
3. საორკესტრო ჩასაბერი და დასარტყამი საკრავები

პირველ კლასში ჩარიცხვა განხორციელდება მუსიკალური მონაცემების შემოწმების შედეგად. მისაღები გამოცდები ჩატარდება სახელმწიფო კონსერვატორიაში

სამუსიკო სკოლაში საბუთები მიიღება ყოველდღე 20 მაისიდან 11-დან 17 სთ-მდე

საბუთების მიღება შეწყდება 2 ივნისს 16 სთ-ზე. მისაღები გამოცდები დაიწყება 4 ივნისს. ღია კარის დღე ჩატარდება 25 მაისს, ორშაბათს, 12 საათზე კონსერვატორიის კამერულ დარბაზში.

24 საათი

წინანდალში ლიტერატურული კაფე გაიხსნა

წინანდალში ლიტერატურული კაფე გაიხსნა. ალექსანდრე ჭავჭავაძეების შთამომავლის, მაია კოკოჩაშვილის ინიციატივით, ლიტერატურული კაფე ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმში განთავსდება.

წინანდლის ლიტერატურული კაფე პირველი ლიტერატურული კაფეა კახეთის რეგიონში. კაფეში მწერლები საქართველოს ყველა რეგიონებიდან შეიკრიბებიან.

მწერლები კახური ღვინის დეგუსტაციის ფონზე წაიკითხავენ საკუთარ ნაწარმოებებს. მოეწყობა საღამოები. მსგავსი ტიპის კაფეების მოწყობა დაგეგმილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

ჯი-ეიჩ-ენი

„ევროვიზიის" გამარჯვებულ ალექსანდრ რიბაკს „ზღაპარი" და ვიოლინო დაეხმარა

საერთაშორისო მუსიკალური კონკურის "ევროვიზია-2009"-ის გამარჯვებული ნორვეგიელი ალექსანდრ რიბაკი გახდა.

რიბაკის მუსიკალურმა კომპოზიციამ "Fairytale" (ზღაპარი), მაყურებელთა დიდი სიმპატიები დაიმსახურა თავად მომღერალმა კონკურსის დასრულების შემდგომ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კიდევ ერთხელ შეასრულა სიმღერა და განაცხადა, რომ იგი საკუთარ თავს სულაც არ მიიჩნევს საუკეთესო მომღერლად. "მე, უბრალოდ მქონდა ისტორია, რომლის მოყოლაც მსურდა და ამაში ძალიან დამეხმარა ვიოლინო", - განაცხადა გამარჯვებულმა.

რიბაკმა, რომელსაც ევროვიზიის არსებობის ისტორიაში ყველაზე მაღალი ქულა - 387 მოიპოვა, უპირატესება უკრაინის წამომადგენელს მიანიჭა.

მას მაქსიმაულრი 12 ქულა მიანიჭეს - ბელორუსმა, გერმანიამ, შვედეთმა, ისლანდიამ, რუსეთმა, ესპანეთმა, ისრაელმა, ლიტვამ, ლატვიამ, უკრაინამ, პოლონეთმა, ჰოლანდიამ. ესტონეთმა, დანიამ, სლოვენიამ, უნგრეთმა. "სრულიად მოულოდნელად ჩვენ მივხდით, რომ არა მარტო გავიმარჯვეთ, არამედ, რეკორდიც დავამყარეთ. შესაძლოა მან დიდ დროს ვერ გაუძლოს მაგამ დარჩება სამუდამოდ", - განაცხადა გამარჯვებულმა. მეორე ადგილზე გავიდა ისლანდიელ მომღერალი იოხანა, მესამეზე კი აზერბაიჯანული დუეტი აისელი და არაში. ევროვიზიის ფესტივალში სულ 42 ქვეყანა მონაწილეობდა. ერთადერთი ქვეყანა, რომელიც მოსკოვში არ გაემგზავრა, საქართველო იყო.

თბილისმა ევროვიზიის ფესტივალზე გასამგზავრებლად უარი სტეფანესა და "3G"-ს სიმღერის "We don't wanna put in" დაბლოკვის გამო განაცხადა.

ჯი-ეიჩ-ენი

სისხლი, სიყვარული და საქართველო კანში

ამ მკვლელობით იწყება ფილმი და დარჩენილი საათნახევრის განმავლობაში მკვლელობების სერიაა, რომელიც მთავარ გმირს მთავარ დამნაშავედ აქცევს. ჯონი ტო ცდილობს, უაზრო მკვლელობებს დასცინოს და ამას მძაფრსიუჟეტიანი ფილმისთვის დამახასიათებელი დადგმული სცენებით ასრულებს. მთავარი დეტალი კი ის არის, რომ კოსტელოს მეხსიერება ღალატობს (20 წლის წინ თავში ტყვია მოხვდა) და ზუსტად არც ახსოვს, რა არის მკვლელობების მიზეზი?! მიუხედავად იმისა, რომ "შურისძიება" ნამდვილად ახდენს კომიკურ ეფექტს, მაინც რთულია ამ ჟანრში ახლებურად დაინახო, ან კი უფრო მართებული იქნება ვთქვათ, ახლებურად დასცინო "ქილერების ისტორიას", ვიდრე აქამდე დაუანახავთ და აქამდე დაუცინიათ. თუმცა, მძაფრსიუჟეტიანი ფილმის პაროდიას ერთი თვისება აქვს - მას ბოლომდე უყურებენ, მაშინ როდესაც სხვა ე.წ. ინტელექტუალური ფილმის შემთხვევაში დარბაზი 15 წუთის შემდეგ იწყებს დაცლას...

ნიკოლოზ რურუა კანში, პრეზენტაციაზე

უმანკოება კინოში

კანში ფესტივალის ეკრანიდან კიდევ ბევრი სიკვდილი, ძალადობა და სისხლი დაიღვარა. ლუ იე, პარკ ჩან ვუკი, ჟაკ ოდიარი, ბრილიანტ მენდოზა - ყოველი მათგანი ჰორორის ჟანრში გადაწყვეტილ კინოს გვთავაზობს. ამ ეტაპზე მხოლოდ ორი გამონაკლისია. ერთ-ერთი მათგანი ჯეინ კემპიონია, რომლის "მოკაშკაშე ვარსკვლავი" სრული შეუსაბამობაა როგორც კანის წლევანდელ პროგრამაში, ასევე მთლიანად ფესტივალის კონტექსტში. მაგრამ უცნაური ის არის, რომ მოცემულ მომენტში სწორედ კემპიონის ფილმს აქვს ყველაზე დიდი რეიტინგი - ეს არის ბრიტანელი პოეტის, ჯონ ქითსის ცხოვრება და მისი სიყვარულის ისტორია. ახალგაზრდა პოეტი ჭლექით იღუპება და მხოლოდ ერთი წიგნის გამოცემას ასწრებს. უმანკოა მისი ცხოვრებაც და სიყვარულიც. საყვარელ ქალს სულ რამდენჯერმე აკოცებს, დანარჩენ დროს კი კედლის სხვადასხვა მხრიდან ხელებით ეფხაკუნებიან ერთმანეთს. უმანკო სიცოცხლისა და სიყვარულის ისტორია (სადაც მაყურებელს ერთი ვნებიანი სექსის სცენასაც კი არ სთავაზობს რეჟისორი) იდილიური ბუნების ფონზე ვითარდება. ასე ლამაზად და სევდიანად სრულდება ჯონ ქითსის ცხოვრება, რომელსაც რეჟისორი დღევანდელ დღეს ყველაზე აქტუალურად და თანამედროვეობისთვის საჭირო თემად მიიჩნევს: "მე მსურდა მეჩვენებინა ის, რაც ყველაზე მეტად გვაკლია დღევანდელ დღეს - სისუფთავე, უმანკოება, სილამაზე..." - ამბობს ჯეინ კემპიონი. ამ ფილმის წარმატება (ქულები კინოჟურნალებში) გვარწმუნებს, რომ არა მხოლოდ საქართველოში არიან ჯგუფები, რომელთაც "ნაღდი", "ჯიგრული", უმანკო, ეროვნული თუ კოსმოპოლიტური ღირებულებების და ურთიერთობების ნოსტალგია აქვთ.

"ვუდსტოკით" იმედგაცრუებული

აი, იდეალისტების მოლოდინი გააცრუა წარმოშობით ტაივანელმა და ამერიკელმა კინორეჟისორმა ენგ ლიმ. "მიმზიდველი ვუდსტოკი" - ასე ჰქვია მის უკანასკნელ ფილმს. მაყურებელი 1969 წლის ლეგენდარული კონცერტის გაცილებით უფრო საინტერესო ისტორიას ელოდა, ვიდრე ენგ ლიმ შესთავაზა. ისტორია ასეთია: ახალგაზრდა ბიჭი გაიგებს, რომ ფესტივალი მზადდება და ფულის შოვნის მიზნით, მისი სოფლის ტერიტორიას შესთავაზებს "ვუდსტოკის" ორგანიზატორებს. მიზანი ძალიან მერკანტილურია - ჯენის ჯოპლინი აპირებს მონაწილეობას, ბუნებრივია ჯოპლინი ბევრ ხალხს მოიყვანს და ბევრი ხალხი გაცილებით მეტ ფულს მოიტანს. თუმცა ამ ხაზს ენგ ლი ბოლომდე არ მიჰყვება, 60-იანელების იდეალიზმს არ ამიწებს. ფილმის მეორე ნახევარში არა თავად კონცერტი, არამედ "ვუდსტოკის" დღეებში არსებული სიტუაციაა მოცემული - ნარკოტიკი, თავისუფალი სექსი, სიშიშვლე, თავისუფლება... ამ ყველაფრის გემოს მატერიალისტი ბიჭუნა კარგად იგებს. ვუდსტოკის შემდეგ ის საკუთარ პურიტანულ, ტრადიციულ ოჯახს ტოვებს და მიდის. თითქოს საინტერესოა, მაგრამ "ვუდსტოკის" აღწერა თუ ანალიზი იმდენად ზედაპირულად არის მოცემული, რომ რთულია ჩამოაყალიბო - რატომ გადაიღო ენგ ლიმ ეს ფილმი?! ასევე გაუგებარია, რატომ არ ჩართო ფილმში არც ერთი ცნობილი საუნდტრეკი. მხოლოდ ტიტრების დროს, როდესაც მაყურებლის 99 პროცენტი უკვე დარბაზიდან გასულია, გაისმა ცნობილი "Freedom".

საქართველო კანში

მიუხედავად იმისა, რომ წელს საქართველოში რამდენიმე ახალი ქართული ფილმის პრემიერა შედგა, სამწუხაროდ კანის 62-ე ფესტივალზე არც ერთი მათგანი არ არის წარმოდგენილი. მაგრამ 16 მაისს, ერთ-ერთ ყველაზე ფეშენებელურ სასტუმროში "მაჟესტიკ" ქართული კინოდელეგაციის პრესკონფერენცია გაიმართა. პრესკონფერენციაზე წარმოდგენილი იყო მერაბ კოკოჩაშვილის მიერ შექმნილი ქართული კინოს საინფორმაციო რგოლი (დაბადებიდან დღემდე). სიტყვით გამოვიდა საქართველოს კულტურის მინისტრი ნიკოლოზ რურუა. რურუამ მოწვეულ სტუმრებს საქართველოში კინოწარმოების მიმზიდველობაზე მოახსენა, მიხეილ სააკაშვილის წერილიც გააცნო, სადაც პრეზიდენტი ქართული კინოს დიდ ტრადიციაზე წერდა და თანამედროვე კინემატოგრაფისტებს ჩვენთან ეპატიჟებოდა. დარიგდა დისკები: საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების, ტერიტორიის პრეზენტაცია და ქართული კინოს ისტორია დაბადებიდან დღემდე.

"საქართველოში არის რამდენიმე თანამედროვედ აღჭურვილი სტუდია, რომელიც დღეს უკვე იძლევა კინოწარმოების საშუალებას, ჩვენთან ფილმის გადაღება უფრო იაფი ჯდება, ჩვენი "ბუნების მუზეუმი" ნებისმიერი ანტურაჟის შექმნის საშუალებას იძლევა□და ა.შ. ერთი სიტყვით, კანში, სადაც ყველაზე დიდი და აქტიური სავაჭრო ბაზრობაა, საქართველო საკუთარ თავს უწევს რეკლამას და შეიძლება ითქვას, რომ ამ რეკლამირების პროცესში მას ისეთი პრესტიჟული და პოპულარული ჟურნალებიც ეხმარებიან, როგორიც არის "Variety□ და □Le film francais". მეორე დღეს ორივე ჟურნალში დაიბეჭდა ინტერვიუ კულტურის მინისტრთან და ის ინფორმაცია, რომელიც პრესკონფერენციაზე გაიცა. ქართული კინოს პავილიონიც ერთ-ერთ საუკეთესო ადგილას არის განლაგებული, დაინტერესებაც დიდია, მაგრამ სამწუხარო მხოლოდ ერთია - ინტერესი გაცილებით მეტია ქართული თანამედროვე (უკვე შექმნილი) ფილმების მიმართ, ვიდრე ქართული პეიზაჟების, გეოგრაფიის, სტუდიების და ა.შ. და მიუხედავად იმისა, რომ წელს საქართველოში არაერთი ახალი ფილმის პრემიერა გაიმართა, კანის ფესტივალის არც ერთ პროგრამაში არც ერთი მათგანი არ მოხვდა. იმედი დავიტოვოთ, რომ მომავალ წელს კიდევ უფრო მეტი ქართული კინოპროდუქცია შეიქმნება და რომელიმე მათგანი კანშიც მოხვდება.

105 წელი ბავშვების სამსახურში

სოფო ჩიხლაძე

ჟურნალ □ნაკადულს□ 105 წელი შეუსრულდა. კლუბ □ტრიუმფში□ გამართულ ღონისძიებაზე გამოცემას იუბილე შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებულმა ბავშვებმა მიულოცეს. □ნაკადული□ 1904 წელს სასიქადულო მამულიშვილთა მეშვეურობით დაარსებული პირველი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძარზეა ამოზრდილი. მოგვიანებით მას სახელი შეეცვალა და □პიონერი□ ეწოდა, თუმცა 1990 წლიდან □ნაკადული□ კვლავ პირვანდელი სახელით გამოდის... ჟურნალის იუბილეზე კლუბ □ტრიუმფში□ სხვადასხვა სკოლების ანსამბლთა მონაწილეობით კონცერტი გაიმართა. კონცერტის პარალელურად მოეწყო ექსპოზიცია, სადაც წარმოდგენილი იყო ბავშვების მიერ შექმნილი გობელენები, ნახატები და პლასტმასით შესრულებული ქანდაკებები, რომლებმაც მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. განსაკუთრებით აღსანიშნავია თორნიკე გაბედავას, ნანუკა კუტიბაშვილის, ლუკა გოგლიძის, თორნიკე გაგნიძის და ზურა ღონღაძის სკულპტურული ნამუშევრები. ისინი მოქანდაკე ირაკლი რევაზიშვილის აღსაზრდელები არიან. □ჩემი მოსწავლეები ხშირად მონაწილეობენ გამოფენებში. დღევანდელი ღონისძიება ჟურნალმა □ნაკადულმა□ ჩაატარა. ორგანიზატორებმა გამოთქვეს სურვილი, რომ ჩემს მოსწავლეებსაც მიეღოთ მონაწილეობა და დიდი სიამოვნებით დავთანხმდით შემოთავაზებას. სულ ქანდაკების წრეზე 50-მდე ბავშვი დადის, თუმცა დღეს აქ თოთხმეტის ნამუშევარი არის წარმოდგენილი. ბავშვები ძალიან კმაყოფილები არიან ღონისძიებით,□- გვითხრა მოქანდაკე ირაკლი რევაზიშვილმა.

□პირველ რიგში მინდა, □ნაკადულს□ მივულოცო იუბილე... რაც შეეხება ჩემს ნამუშევრებს, დღეს აქ წარმოდგენილია პლასტელინით შესრულებული ჩემი სამი ქანდაკება - □დოგი□, □მომღერალი□ და □ჩოგბურთელი□. პირველად მივიღე მონაწილეობა გამოფენაში და ძალიან ვნერვიულობ... ქანდაკება გამორჩეულად მიყვარს. ბედნიერი ვარ, რომ გამოფენაში მონაწილეობის უფლება მომცეს,□ - ამბობს გამოფენის ერთ-ერთი მონაწილე ნანუკა კუტიბაშვილი.

ყოველი სასწავლო წლის ბოლოს □ნაკადულის□ რედაქცია გამოსცემს კრებულს, სახელწოდებით □ოდოშხელი□, სადაც ნიჭიერი ბავშვების, კერძოდ ნორჩი მხატვრების, ლიტერატორების, მუსიკოსების, მოქანდაკეების და ა.შ. შემოქმედებაა წარმოდგენილი. მათ შორის იქნებიან ის მოზარდები, რომელთა შემოქმედებამაც ჟურნალ □ნაკადულის□ საიუბილეო ღონისძიებაზე მაყურებლისა თუ დამთვალიერებლის განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა.

□ვფიქრობ, მსგავსი ღონისძიებები მნიშვნელოვანია. ბავშვებისთვის კონცერტებსა და გამოფენებში მონაწილეობა, ერთი მხრივ, სტიმულია, მეორე მხრივ კი, ამ პროცესებში ისინი ერთმანეთის შემოქმედებას ეცნობიან,□- აღნიშნა ჩვენთან საუბრისას საყმაწვილო ჟურნალ □ნაკადულის□ რედაქტორმა მანანა გელაშვილმა.

ჟურნალმა □ნაკადული□ საიუბილეო ღონისძიებაში მონაწილე ყველა პატარა წარმატებული შემოქმედებითი საქმიანობისთვის სპეციალური დიპლომებით დააჯილდოვა.

18 მაისი მსოფლიოს მუზეუმებში

თამარ კიკნაველიძე

ხატია ვიტალიშვილის ფოტო

მუზეუმების საერთაშორისო დღე მას შემდეგ აღინიშნება, რაც რუსეთის წარმომადგენლებმა მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს - ICOM (Internation Council of Museums) ამ დღის დაწესება შესთავაზეს. 1977 წლიდან მოყოლებული, მუზეუმთა საერთაშორისო დღეს მსოფლიოს 150-ზე მეტ ქვეყანა ზეიმობს.

18 მაისს მუზეუმებს მრავალრიცხოვანი დამთვალიერებელი აწყდება. რიგების თავიდან ასაცილებლად, მუზეუმების თანამშრომლები მნახველებს წინასწარი ჩაწერით მასპინძლობენ. ეს დღე ნებისმიერი მუზეუმისთვის, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა მდებარეობდეს ის, განსაკუთრებულია. შესაბამისად, ამ დაწესებულებათა წარმომადგენლები ძალისხმევას არ იშურებენ, რომ საზოგადოებას საინტერესო გამოფენები, თემატური ლექციები, ექსკურსიები, საგანგებო მეცადინეობები ბავშვებისათვის თუ სამუზეუმო-თეატრალური ფესტივალები შესთავაზონ, ამასთან - სრულიად უსასყიდლოდ.

მუზეუმთა საერთაშორისო დღის თემა ყოველწლიურად იცვლება. 2009 წელს ის ჩამოყალიბებულია, როგორც „მუზეუმები და ტურიზმი“. თუ ისტორიას გადავხედავთ, 1997-1998 წლებში ამ დღის მთავარი მოწოდება იყო „კულტურული მემკვიდრეობის უკანონო გადაადგილების წინაარმდეგ ბრძოლა“, 2005 წელს - „მუზეუმი - კულტურათა შორის დიალოგი“, ხოლო 2008 წელს - „მუზეუმი - სოციალური ცვლილებებისა და პროგრესის მამოძრავებელი ძალა“. და მიუხედავად იმისა, რომ წელს ეს დღე ორშაბათს დაემთხვა, როდესაც მუზეუმთა უმრავლესობა ისვენებს, ამ დაწესებულებათა ხელმძღვანელებმა გადაწყვიტეს, რომ „კეთილი ტრადიცია“ არ დაერღვიათ და მათთვის კანონით მინიჭებული უქმე დღე ამ დღესასწაულისთვის „შეეწირათ“.

მსოფლიოში პირველი მუზეუმი პლატონმა დაარსა. მას შემდეგ, საუკენეების განმავლობაში, კულტურული მონაპოვარი მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში განთავსებულ მუზეუმებში გადანაწილდა. მუზეუმთა საერთაშორისო საბჭოს (ICOM) პრეზიდენტია ჟაკ პერო, რომელიც აღნიშნავს: „მუზეუმმა ადგილი საზოგადეობის გულში უნდა დაიკავოს. ამ დაწესებულებათა განვითარება, მეტწილად, საზოგადოების აქტივობაზეა დამოკიდებული, ამიტომაც მათ ჩვენი მიზნების მხარდაჭერა და პროექტებსი თანამონაწილეობა უნდა შევთავაზოთ. საზოგადოებამ მუზეუმთან უნდა ითანამშრომლოს“.

საფრანგეთი მუზეუმების მრავალრიცხოვნებით გამოირჩევა. ამ ქვეყანამ მუზეუმთა საერთაშორისო დღე 16 მაისს აღნიშნა და დამთვალეირებელს ექსპოზიციითა დათვალიერების საშუალება 18 საათიდან შუაღამემდე მისცა. საფრანგეთისგან განსხვავებით, ამ საერთაშორისო დღეს მსოფლიოს ყველა მუზეუმი დღეს აღნიშნავს. მათ შორის დამთავლეირებელთა ინტერესს საქვეყნოდ ცნობილი და ექსპონატთა მრავალფეროვნებით გამორჩეული მუზეუმები იწვევენ. თუმცა, ამ დღეს იმ მუზეუმთა კარებებიც იღება, რომლებიც სხვებისგან ნამდვილად გამოირჩევიან და დამთვალიერებელთა გარკვეული ნაწილი არჩევანს სწორედ მათზე აკეთებს.

7 ყველაზე უჩვეულო მუზეუმი მსოფლიოში

მსოფლიოს მუზეუმთა რაოდენობა მრავალრიცხოვანია. ისინი ერთმანეთისგან მათი პროფილითა და თემატიკით გამოირჩევიან. პორტალმა IndependentTraveler.com მსოფლიოს 7 ყველაზე უჩვეულო მუზეუმის ჩამონათვალი შემოგვთავაზა.

ამ ჩამონათვალში მოხვდა შუასაუკუნეების წამების იარაღების მუზეუმი, რომელიც პრაღაში მდებარეობს. იქ თითოეულ ექსპონატს თან განმარტებაც ახლავს, რომელზეც აღნიშნული იარაღის გამოყენების აღწერილობაა მოცემული. ამ მუზეუმში „სუსტი გულის“ დამთვალიერებელს არაფერი ესაქმება. სამ სართულზე გაშლილ ექსპოზიციაზე აღნიშნავენ, რომ ის, მართალია, სპეციფიურია, მაგრამ საინტერესო და მრავალფეროვანია.

ცუდი ხელოვნების მუზეუმი - ასე ეწოდება ნაგებობას, რომელიც ბოსტონში (აშშ) მდებარეობს. იქ „ხელოვნების“ 400 ნიმუშია თავმოყრილი, თუმცა, როგორც წესი, 40 მათგანია გამოფენილი. საექსპოზიციოდ მათ მუზეუმის დამფუძნებელი და კურატორი - სკოტ უილსონი (Scott Wilson) ირჩევს.

სექსის თემაზე აგებულ ექსპოზიციებს მსოფლიოში ერთდროულად სამი მუზეუმი ეხმაინება. ასეთი დაწესებულებები ფუნქციონირებს ამსტერდამში, პარიზსა და ხუსავიკში (ირლანდია). ეროტიზმის ფრანგული მუზეუმი შვიდსართულიან შენობაშია განთავსებული და პარიზის ერთ-ერთ უბანში - პიგალში მდებარეობს (ეს ადგილი სექ-შოპებითაც ცნობილია). ამ მუზეუმში ექსპონირებული ნამუშევრები თანამედროვე ეროტიკული ხელოვნების ნიმუშებად იქცა. აქ თავმოყრილი საგნები პარიზული პროსტიტუციის ისტორიის ერთგვარი ილუსტრირებაა.

მსოფლიოში სექსის უძველესი მუზეუმი Venustempel ამსტერდამში მდებარეობს. ეს დაწესებულება, ყოველწლიურად, 500 ათას ტურისტს იზიდავს. იქ ნახატები, ქანდაკებები, ჩანაწერები და დამთვალიერებლისთვის საინტერესო ნიმუშებია წარმოდგენილი.

სან ხოსეში (კალიფორნია) ერთი მეტად უცნაური - ვინჩესტერების საიდუმლო სახლი დგას. ის ამ იარაღის გამომგონებელის ქალიშვილმა - სარა ვინჩესტერმა საკუთარ მამულში ააშენებინა. მშენებლობას მრავალმილიონიანი ქონების მემკვიდრე 38 წლის განმავლობაში (გარდაცვალებამდე) უძღვებოდა. ნაგებობა 160 ოთახისგან და 40 საძინებლისგან შედგება. გადმოცემის თანახმად, ქ-მა ვინჩესტერმა ის საკუთარი მამის მიერ შექმნილი იარაღით მოკლული ადამიანების სულების განსასვენებლად ააგო.

მიტერის სამედიცინო ისტორიის მუზეუმში (ფილადელფია, აშშ) პათოლოგიების, უცნაური სამედიცინო აღჭურვილობა და ბიოლოგიური ექსპონატებია თავმოყრილი. ეს მუზეუმი თავის ქალების უდიდესი კოლექციით არის ცნობილი.

გლორას ფსიქიატრიის მუზეუმს რაც შეეხება, ის მისურის შტატში (აშშ) მდებარეობს. მასში მოხვედრილს შესაძლებლობა გეძლევათ ფსიქიატრიულ დაავადებათა მკურნალობის 400-წლიან ისტორიას მიადევნოთ თვალი. დამთვალეირებელი არ აკლდება საპირფარეშოთა საერთაშორისო მუზეუმს, რომელიც ნიუ დელიშია (ინდოეთი) გახსნილი. აქ ტუალეტების ისტორიას ძვ.წ.აღ-ის 3000 წლიდან იწყება. უცნაურ მუზეუმთა რიცხვს განეკუთვნება ასევე ჰაშიშის მუზეუმი, სადაც გათვალისწინებულია იქ წარმოდგენილ ექსპონატთა სპეციფიკა.

ახლახანს ბრიტანულმა ჟურნალმა - The Independent უჩვეულო ადგილას განთავსებული სამხატვრო გალერეების რეიტინგიც განმოაქვეყნა. ჩამონათვალში პირველი ადგილი მოროჰაშის (Morohashi) მუზეუმს უჭირავს, რომელიც იაპონიის ქალაქ კიტაშიობარას (Kitashiobara) გარეუბანში მდებარეობს. აღსანიშნავია, რომ ამ „მიყრუებულ“ ადგილას სალვადორ დალის ნამუშევრების მსოფლიოში უდიდესი კოლექცია - 350 ტილო და ქანდაკება ინახება. აღნიშნულ გალერეაში უტრილოს, პიკასოს და სეზანის ტილოებსაც დაათვალიერებთ.

თოჯინების დღესასწაული

დღეს მუზეუმების საერთაშორისო დღეა

ეკა ჩიკვაიძე

ხატია ვიტალიშვილის ფოტო

სცენა თოჯინების მუზეუმის ახალი სპექტაკლიდან

უკვე 30 წელზე მეტია, რაც 18 მაისს - მუზეუმების საერთაშორისო დღეს მსოფლიო სხვადასხვანაირად აღნიშნავს: იმართება ხელოვნების კვირეულები, ახორციელებენ ახალ პროექტებს, აწყობენ მუზეუმების ღამეს. თბილისის მერიის ინიციატივით საქართველო წელს პირველად აღნიშნავს ამ დღესასწაულს და მუნიციპალურ მუზეუმებში ფესტივალი - "მუზეუმების გაზაფხული 2009" იმართება. დღესასწაულს მერიის ინიციატივით 2008 წელს აღდგენილი თოჯინების მუზეუმიც შეუერთდა, რომლებმაც საკმაოდ მრავალფეროვანი პროგრამა შესთავაზეს დამთვალიერებლებს.

სამდღიანი პროგრამა, რომელიც 16 მაისს დაიწყო და დღეს დამთავრდება, მუზეუმის ახალი პროექტების ერთგვარ პრეზენტაციას წარმოადგენს და საზოგადოების მოზიდვისა და დაინტერესებისკენ არის მიმართული. ფესტივალის ფარგლებში ახალი პედაგოგების კოლექტივისგან შემდგარი თოჯინების თეატრი გაიხსნა, სადაც ყოველ ოთხშაბათს სხვადასხვა თოჯინური სპექტაკლები - მთხრობელისა და ცოცხალი მუსიკის თანხლებით გაიმართება. სამდღიანი პროგრამის ფარგლებში ბავშვებს საშუალება ჰქონდათ უფასოდ დასწრებოდნენ თოჯინების თეატრის მიერ დადგმულ სპექტაკლებს: "წიქარას", "ჩიტნაპოვნას" და"გედებს". სპეციალურად ბავშვებისთვის საგანმანათლებლო ხასიათის საუბრებიც გაიმართა, რომელიც მომავალში მსურველებისთვის ტრადიციულ ხასიათს მიიღებს და მოწვეული ფსიქოლოგისა და მის მიერ ორგანიზებული ფსიქოლოგიური თამაშების დახმარებით, ბავშვები ქცევის წესებსა და კულტურულ დაწესებულებებში მოქცევას შეისწავლიან. ფესტივალის ფარგლებში ბავშვებს და არა მარტო მათ, მულტიპლიკაციურ მასტერკლასზე დასწრების საშუალებაც ჰქონდათ. კარლო სულაკაურის ანიმაციური ფილმები თოჯინების გამოყენებით, რეჟისორ-მულტიპლიკატორმა ბონდო შოშიტაშვილმა გამართა. საკმაოდ საინტერესო იყო მწერალ დათო აკრიანის ფოტო-ფერწერული ნამუშევრების გამოფენა - "აქ რაღაც ხდება" და მისი ახალი წიგნების პრეზენტაცია.

"ახალგაზრდა თაობის უმეტესობას ამ მუზეუმის არსებობის შესახებ არაფერი სმენია, თუმცა არის თაობა, რომლიც მოდის... ჩვენთან წარმოდგენილი ძველი თოჯინების ხილვისას, ბავშვობას იხსენებენ და ტირიან. ჩვენი მიზანია საზოგადოებას უფრო მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ ჩვენს შესახებ, მოვიზიდოთ და ახალი პროექტებით დავაინტერესოდ" - აღნიშნავს თოჯინების მუზეუმის დირექტორი ნანა ოქრუაშვილი.

თოჯინების მუზეუმში გამართული ფესტივალი დღეს საკმაოდ საინტერესოდ დაიხურება. გაიმართება სამეცნიერო-პოპულარული ფილმის ჩვენება. საღამოს ბესო კუპრეიშვილის უხელმძღვანელობით "ექსტრავაგანსას" თითების თეატრის წარმოდგენა დაასრულებს.

თოჯინების მუზეუმი 1937 წელს, საბავშვო მწერლმა და საზოგადო მოღვაწემ თინათინ თუმანიშვილმა დააარსა. სწორედ მის სახელს ატარებს დღემდე მუზეუმი. მუზეუმი ძველი თბილისის ერთ-ერთ ისტორიულ შენობაშია განთავსებული. იქ უნიკალური და უძვირფასესი თოჯინების კოლექცია ინახება. მუზეუმი 2008 წელს შევიდა მერიის დაქვემდებარებაში, შეიქმნა მისი გადარჩენის გეგმა, რაც მის გაფართოებასა და მის ფუნქციათა გაფართოებას გულისხმობდა. თანდათან მუზეუმი მართლაც გაიზარდა, შეიქმნა სუვენირების სალონი, სადაც დამთვალიერებელს საშუალება ეძლევა შეიძინოს მაღალი გემოვნების ნივთები და თოჯინები, მხატვრული ტილოები, ბატიკისა და თექის აქსესუარები, მინანქრის სამკაული და სხვა მრავალი. ასევე, გარკვეული პერიოდულობით ტარდება ტიხრული მინანქრის ხელოვნების გაკვეთილები, რომლის კურსის დამთავრების შემდეგაც გაიცემა სერთიფიკატი. მუდმივმოქმედი ექსპოზიციის გარდა, მუზეუმის საგამოფენო დარბაზში ხშირად საინტერესო გამოფენები იმართება, მოქმედებს ასევე ხელოვნების სტუდია, სადაც წარმატებით ფუნქციონირებს თერაპიული ხელოვნების წრე. ხელოვნების თერაპიის საფუძველზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი ითვალისწინებს ნებისმიერი ასაკის, ხასიათისა და ტემპერამენტის მოზარდის ინდივიდუალურობას. სწავლება აგებულია როგორც ფერით, ასევე მოცულობით სავარჯიშოებზე (ძერწვა ნატურალური თიხით), ხელოვნების ისტორიის ნიმუშებრის პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით განხილვის მეთოდზე. პრობლემური ჯანმრთელობის მქონე ბავშვებისთვის გათვალისწინებულია სპეციალური თერაპიული კურსი, რომლის დროსაც გამოიყენება ბუნებრივი მასალები, როგორიცაა ხე, ქვა და ა.შ.

მუზეუმში შესვლა ფასიანია, რასაც შემოწირულობის ფუნქციას აქვს და ამ გადასახადის საშუალებით მუზეუმის გაფართოება გრძელდება. "მე მესმის, რომ ამ დროში საკმაოდ რთულია ფულის გადახდა, თუმცა საზოგადოება ამას თანდათან ეჩვევა. სამაგიეროდ, შემოსული თანხით ჩვენ თოჯინების თეატრი გავხსენით და სამომავლოდ უფრო მეტ სიახლეს შევთავაზებთ საზოგადოებას", - გვეუბნება ქალბატონი ნანა ოქრუაშვილი.

თოჯინების მუზეუმში უამრავი ახალი გეგმა აქვთ, მართალია მათი განხორციელება ჯერჯერობით ვერ ხერხდება, თუმცა ახლო მომავალში აქ სამკითხველო დარბაზი და საკვირაო სკოლაც აუცილებლად ამოქმედდება.

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო (მისამართი: თბილისი, გორგასალის 24, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა მე-2 სართული, ოთახი №214. ტელ: 405-184) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, აცხადებს ტენდერს საზედამხედველო სამუშაოების მრავალწლიან შესყიდვაზე

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

შესყიდვის ობიექტი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №24-ში, სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სათაო ოფისის მშენებლობის მიმდინარეობასთან დაკავშირებული საზედამხედველო სამუშაოები.

იუსტიციის სამინისტროს სათაო ოფისის (შემდგომში „ობიექტი“) მშენებლობის ღირებულება შეადგენს – **16 524 237 (თექვსმეტი მილიონ ხუთასოცდაოთხი ათას ორასოცდაჩვიდმეტი) ლარს;**

სამშენებლო ობიექტის აღწერილობა:
მიწის ნაკვეთის ფართი – **21045.0 მ²** **სამშენებლო მოცულობა – 30637.0 მ²**
მოშენების ფართი **4077.5 მ²**
მათ შორის: **± 0.00 ზევით – 17605.2 მ2**
საპროექტო – 726.5 მ² **± 0.00 ქვევით – 13031.8 მ2**
არსებული შენობის – 3351.0 მ²
საერთო ფართი – **11220.0 მ2** **სართულების რაოდენობა:**
მათ შორის: **მიწისქვეშა - 2**
საოფისე ფართი 4604.2 მ² **მიწისზედა - 10**
საზაფხულო ფართი 155.6 მ²
სარდაფის ფართი – 716.7 მ²
ავტოსადგომის ფართი – 4328.7 მ²
საკომუნიკაციო ფართი (კიბის უჯრედი, ლიფტი, ტექნიკური სათავსოები, სანკვანძები) – 1414.8 მ²

1. ტენდერში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა დაინტერესებულ რეზიდენტ, ასევე არარეზიდენტ ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

2. სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადა შეადგენს 2009 წლის 1 მაისიდან 420 კალენდარულ დღეს. თავის მხრივ, საზედამხედველო სამუშაოს დასრულების ვადა განსაზღვრება ობიექტის ექსპლუატაციაში მიღებამდე.

3. პრეტენდენტებმა ქართულ ენაზე შედგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები და ტენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს დახურულ კონვერტში, **2009 წლის 18 მაისიდან 2009 წლის 8 ივნისის 12 საათამდე** მე-12 პუნქტში მითითებულ მისამართზე.

იურიდიულ პირთათვის:
ა. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
ბ. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;
გ. ცნობა საგადასახადო ორგანოდან, რომ მის მიმართ არ ხორციელდება რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;

ფიზიკურ პირთათვის:
ა. ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;
ბ. ცნობა სასამართლოდან პირის ქმედუნარიანობის შესახებ;

როგორც ფიზიკურ, ისევე იურიდიულ პირებისათვის:
ა. პრეტენდენტის დასახელება, იურიდიული და ფაქტიური მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული ფოსტის მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
ბ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი, რომ პრეტენდენტი არ არის რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში;
გ. ცნობა საგადასახადო ორგანოდან მასზედ, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გააჩნია დავალიანება;
დ. ცნობა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა;
ე. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ბოლო 2 წლის (2007 და 2008) ფინანსური მდგომარეობის დამადასტურებელი, საგადასახადო ინსპექციის მიერ დამოწმებული საწარმოს ბალანსები;
ვ. განხორციელებულ საზედამხედველო სამუშაოებზე, დამკვეთის მიერ პრეტენდენტზე, როგორც გენერალურ კონტრაქტორზე ან კონკრეტულ პიროვნებებზე (რომლებიც პრეტენდენტის მიერ მითითებული იქნება „ს“ პუნქტით დადგენილ ცხრილში) გაცემული სარეკომენდაციო წერილები;
ზ. პრეტენდენტმა უნდა ინგენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას. ვალდებულია წარმოადგინოს მონაცემები ცხრილის შესაბამისად. პრეტენდენტის შეხედულებისამებრ შესაძლებელია კონკრეტულ თანამდებობაზე წარდგენილ იქნას რამოდენიმე პიროვნება და/ან პიროვნება წარდგენილ იქნას სხვადასხვა თანამდებობებზე თუ მას გააჩნია სათანადო კვალიფიკაცია და გამოცდილება;

№	თანამდებობის დასახელება	სახელი და გვარი	კონკრეტულ თანამდებობაზე დაგროვილი სამუშაო გამოცდილება (წლების მითითებით)	მნიშვნელოვანი სამუშაოები, რომელშიც მიღებული აქვს მონაწილეობა
1	ტექნიკური ხელმძღვანელობის მენეჯერი			
2	ბეტონისა და რკინა-ბეტონის სამუშაოების ინჟინერ-ხელმძღვანელი			
3	გეოდეზიის სამუშაოების ინჟინერ-ხელმძღვანელი			
4	მასალების ხარისხის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
5	ელ.გაყვანილობისა და ელმოძრაფის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
6	წყალგაყვანილობისა და კანალიზაციის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
7	გათბობა-ვენტილაციის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
8	სუსტი დენების და სპეც. აპარატურის მონტაჟის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
9	შიდა და გარე მოპირკეთების ხარისხის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
10	უსაფრთხოების ტექნიკის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
11	სპეც. ელ. მოწყობილობის და ლიფტების მონტაჟის ინჟინერ-ხელმძღვანელი			
12	სახანძრო უსაფრთხოების ინჟინერ-ხელმძღვანელი			

თ. პრეტენდენტი, იმ შემთხვევაში თუ მას არ გააჩნია საკუთარი ლაბორატორია (საკუთარი ლაბორატორიის არსებობისას უნდა წარმოადგინოს მისი ტექნიკური მახასიათებლები), ვალდებულია მიუთითოს ხად (ორგანიზაციის დასახელება და მისი ტექნიკური მახასიათებლები) განახორციელებს სამშენებლო კომპანიის მიერ გამოსაყენებელი მასალების ხარისხის კონტროლს;
ი. ხელშეკრულების უზრუნველყოფის 1%-იანი საბანკო გარანტია (საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას).

4. პრეტენდენტების მიერ განცხადების შესაბამისად წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები საკვალიფიკაციო შერჩევის დროს შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა).

5. თუ წინამდებარე შესყიდვის ფარგლებში, შესყიდვებში მონაწილეობის მსურველი პირის მიერ გათვალისწინებული იქნება სუბ-კონტრაქტორების ჩართვაც, მაშინ, ხელშეკრულების განცხადების მე-3 პუნქტის მითითებანი სავალდებულო იქნება ასევე ყველა სუბკონტრაქტორისათვის.

6. ტენდერის შედეგად გამოვლინდება ერთი გამარჯვებული, რომელმაც ხელშეკრულების გაფორმების დროს, უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

7. ქართულ ენაზე შედგენილი ხელშეკრულების მიღება შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს შეეძლებათ (მე-11 პუნქტში აღნიშნული მოსაკრებლის გადახდის შემდეგ) **2009 წლის 18 მაისიდან 8 ივნისის 12 საათამდე** შემდეგ მისამართზე: გორგასალის 24, თბილისი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა მე-2 სართული, ოთახი №214, ხელშეკრულების კომისიის აპარატი.

8. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ფიზიკურ და იურიდიულ პირს ეძლევა შესაძლებლობა ხელშეკრულების მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს ხელშეკრულების დოკუმენტაციას.

9. ხელშეკრულების წინადადების გახსნა მოხდება **2009 წლის 8 ივნისს 12 საათზე** პრეტენდენტთა თანდასწრებით შემდეგ მისამართზე: გორგასალის 24, თბილისი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, **პირველი სართული, ოთახი №123**.

10. ალტერნატიული ხელშეკრულების წინადადება არ გაითვალისწინება.

11. ხელშეკრულების დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი ხელშეკრულების მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამადასტურებელი ქვითრის ხელშეკრულების კომისიის აპარატში მე-18 პუნქტში მითითებულ მისამართზე წარმოდგენის შემდეგ.

ხელშეკრულების მოსაკრებელის საბანკო რეკვიზიტები: მიმღები – ხაზინის ერთიანი ანგარიში ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ხაზინის კოდი 302004000; **დამატებით ინფორმაციაში მიუთითეთ გადახდის დანიშნულება** ხელშეკრულების მოსაკრებელი, საზედამხედველო სამუშაოების შესყიდვის ტენდერი, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

12. შესყიდვებში მონაწილეობის მსურველ პირებს დამატებითი ინფორმაციის მიღება შეუძლიათ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ხელშეკრულების კომისიის აპარატში. მისამართი: ქ. თბილისი, გორგასალის 24, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს მთავარი პროკურატურა, ოთახი №214, ტელეფონი: 405-184, საკონტაქტო პირი – კახა ოქროჯანაშვილი.

13. არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული ორიგინალი დოკუმენტების სახით, ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებულ თარგმანთან ერთად.

ხელშეკრულების კომისია

ჩვენი საქმიანობის პრიორიტეტი ქალის ჯანმრთელობაა !
თავი დაიცავით სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ავთვისებიანი სიმსივნეებისგან ! ! !

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრში და მობილურ სკრინინგ-ცენტრში სარძევე ჯირკვლის და საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციის პროგრამით ყოველდღიურად წარმოებს პაციენტთა მიღება.

სარძევე ჯირკვლის მამოგრაფიული კვლევა ჩაუტარდებათ 40-დან 70 წლამდე ასაკის ქალბატონებს. გინეკოლოგიური გასინჯვა და პაპ-ტესტი ჩაუტარდებათ 25-დან 60 წლამდე ასაკის ქალბატონებს.

პროგრამა დაფინანსებულია თბილისის მერიის, „გაეროს“ მოსახლეობის ფონდის მიერ და გათვალისწინებულია დედაქალაქის ქალთა მოსახლეობაზე.

პროგრამა მიმდინარეობს პირველი ლედის მხარდაჭერით.

გამოკვლევები ტარდება წინასწარი ჩაწერით. აუცილებელია მოქალაქემ თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა.

პაციენტების მიღების საათებია: ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 9 სთ-დან 18 სთ-მდე, შაბათს - 9 სთ-დან 15 სთ-მდე.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი თბილისი, თ. აბულაძის 20
(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; ტელ./ფაქსი 25 39 38;

სპორტი

„ვიტ ჯორჯია„ ორგზის ჩემპიონია!

"ღია კარის დღე" ბოლნისში

ვიტ ჯორჯია ორგზის ჩემპიონია

მიხეილ აბაიშვილი

თბილისის "ვიტ ჯორჯია" საქართველოს ორგზის ჩემპიონია! კვანძი ეროვნული ჩემპიონატის ბოლოსწინა ტურში გაიხსნა: "ვიტ ჯორჯიამ" დაძაბულ, წინააღმდეგობებით სავსე და უხვგოლიან მატჩში სტუმრად ბოლნისის "სიონი" დაამარცხა და, იმის გამო, რომ უშუალო კონკურენტმა - "დინამომ" ქულები დაკარგა, სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გაინაღდა ოქროს მედლები. "დინამომ" კი ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი სენსაცია გამოაცხო: ზუგდიდში, ადგილობრივ "მგლებთან" მინიმალური ანგარიშით დამარცხდა და წინა სეზონში მოპოვებული ჩემპიონის ტიტულის დაცვის თეორიული შანსიც დაკარგა. თუმცა, კახი კაჭარავას გუნდს ჯერ კიდევ აქვს კარის გაჯახუნების და სეზონის შთამბეჭდავად დამთავრების შესაძლებლობა: 31 მაისს "დინამოს" დავით ყიფიანის სახელობის საქართველოს თასი - ყაზბეგის ფინალი ელის და, გამარჯვების შემთხვევაში, რანგით ჩემპიონობაზე დაბალ, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან ტიტულს მოიპოვებს. ოღონდ ამისთვის ამ სეზონში მისთვის ერთ-ერთი ყველაზე უხერხული მეტოქის, რუსთავის "ოლიმპის" წინააღმდეგობის დაძლევა მოუწევს.

ბოლნისში კი კლასიკური საფეხბურთო თრილერი გათამაშდა ამ ჟანრის ყველა ელემენტის თანხლებით. მოხდა ყველაფერი, რაც საერთოდ ფეხბურთში შეიძლება მოხდეს. ყველა სახის გოლი - ფეხით, თავით, ჯარიმიდან, კუთხურიდან, პენალტის ნიშნულიდან, ყვითელი და წითელი ბარათები, ჩხუბი და მეკარის გაძევება, მინდვრის მოთამაშის კარში ჩადგომა და რომელი ერთი ჩამოვთვალო. მეორე ტაიმის დასაწყისში მოვლენებმა ისეთი ხასიათი მიიღო, რომ ჭკუათამყოფელი კაცი ამ სეზონში "ვიტ ჯორჯიას" ჩემპიონობაზე გახვრეტილ გროშსაც არ ჩამოვიდოდა. მაგრამ ვეტერინარებმა საოცარი ბრძოლისუნარიანობა და მიზანსწრაფულობა გამოავლინეს და ურთულეს ვითარებაში მატჩის ბედის სასწორი თავისკენ გადახარეს: იმის მიუხედავად, რომ ანგარიშით 1:3 მარცხდებოდნენ, ყურები არ ჩამოყარეს, ხასიათის სიმტკიცე გამოავლინეს და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

მატჩი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-17 წუთზე კვაღინინიძემ ბრწყინვალედ შეასრულა საჯარიმო დარტყმა: 25-27 მეტრიდან მისი ზალპის შემდეგ ბურთი ჭანტურიას კარის "ცხრიანში" გაეხვა. "სიონისთვის" ეს თითქმის დამთავრებული სეზონი შეიძლება ჩავარდნილად ჩაითვალოს - გუნდმა ვერც ჩემპიონატში და ვერც თასის ტურნირში ვერაფრით გამოიჩინა თავი. თუმცა, ამის მიუხედავად, მეორედ მიეცა მედლების გადანაწილების საქმეში ჩარევის შანსი. პირველად ეს ორი ტურის წინ მოხდა, როცა ბოლნისელებმა "დინამოს" მნიშვნელოვანი ქულები დააკარგვინეს. როგორც ჩანს, ოთარ კორღალიძის გუნდი ამჯერად "ვიტ ჯორჯიასთან" იგივეს გამეორების წინააღმდეგი არ იყო და "სიონის" ფეხბურთელებმა 24-ე წუთიდან სერიოზულად მოკიდეს საქმეს ხელი. 24-ე წუთზე ყოფილმა დინამოელმა ბობოხიძემ ბედიაშვილს შორეულ დაბალ კუთხეში გაუტანა, 42-ე წუთზე კი მასპინძლებს კიდევ ერთი შედეგიანი შეტევა გამოუვიდათ - ამჯერად გოცირიძის თავური დარტყმა აღმოჩნდა მიზანში.

სავარაუდო იყო, რომ შესვენების შემდეგ მატჩის სცენარი შეიცვლებოდა, რომ სტუმრები ყველაფერს გააკეთებდნენ ვითარების გამოსასწორებლად, მაგრამ ტაიმის დებიუტი "სიონს" დარჩა: 50-ე წუთზე ხიდაშელმა კიდევ ერთი გოლი გაუტანა ბედიაშვილს და საჩემპიონო ტიტული ბეწვზე დაეკიდა. ამ სიტუაციაში მუმლაძე, რომელსაც უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა, გარკვეულ რისკზე წავიდა: შუა და უკანა ხაზი დაასუსტა და თამაშში კიდევ ორი თავდამსხმელი ჩართო, რამაც შედეგი გამოიღო. 54-ე წუთზე ჯერ ბეჭვაიამ შეამცირა ანგარიშში სხვაობა, შემდეგ კი კვარაცხელიამ ანგარიშის გამთანაბრებელი გოლი გაიტანა. საყაიმო ანგარიში "ვიტ ჯორჯიას" უნარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს, რადგან გამარჯვების შემთხვევაშიც კი "დინამო" მხოლოდ ქულამდე მიახლოებას მოახერხებდა და ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე "მგლებთან" გამარჯვება ვეტერინარებს ჩემპიონობას მოუტანდა. თუმცა, "ვიტ ჯორჯიამ" საქმის გადადება არ ისურვა და 70-ე წუთზე კვარაცხელიას წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ლიპარტიამ გამარჯვების გოლად აქცია.

საჩემპიონო მატჩს დაღი დაასვა ერთ-ერთი გულშემატკივრის უცენზურო გამოხდომამ, რამაც მოთმინება დააკარგვინა მასპინძელთა მეკარე გრიგოლ ჭანტურიას. მან ნერვები ვერ მოთოკა და ქომაგს ხურდა დაუბრუნა. მატჩის არბიტრმა ჭანტურიას წითელი ბარათი უჩვენა. იმის გამო, რომ კორღალიძეს სამივე შეცვლა უკვე გამოყენებული ჰქონდა, კარში ჩადგომა ნახევარმცველ ზაზა ჭელიძეს მოუხდა. თუმცა, ამას მატჩის საბოლოო შედეგზე გავლენა არ მოუხდენია. შეხვედრა დასრულდა "ვიტ ჯორჯიას" გამარჯვებით - 4:3.

"მგლები" - "დინამოს" მატჩში ერთადერთი გოლი მასპინძელთა ნახევარმცველმა ბაკარაძემ 44-ე წუთზე, გაჭიანურებული შეტევის შემდეგ გაიტანა, რამაც მის გუნდს "დინამოზე" გაამარჯვებინა.

გაირკვა ბრინჯაოს მედლების მფლობელის ვინაობაც. რუსთავის "ოლიმპმა" გასვლით მატჩში სძლია "ლოკომოტივს", ხოლო უშუალო კონკურენტმა "ზესტაფონი" (რომელიც "ოლიმპს" ამ მატჩამდე ორი ქულით ჩამორჩებოდა) აუტსაიდერ "სპარტაკთან" დამარცხდა და სეზონის საპრიზო სამეულში დასრულების იმედიც გადაეწურა. ეს სეზონი "ზესტაფონისთვისაც" მარცხიანად შეიძლება ჩაითვალოს. ამ გუნდმა გასულ წელს საქართველოს თასიც მოიგო და ბრინჯაოს მედლებიც, წელს კი უტიტულოდ დარჩა.

32-ე ტური

სიონი - ვიტ ჯორჯია	3:4
მგლები - დინამო	1:0
ლოკომოტივი - ოლიმპი	1:3
სპარტაკი - ზესტაფონი	0:1
გაგრა - მესხეთი	2:0

ვიტ ჯორჯია	29	19	9	1	53	19	66
დინამო	29	18	6	5	58	21	60
ოლიმპი	29	16	9	4	40	19	57
ზესტაფონი	29	16	4	9	42	24	52
სიონი	29	10	11	8	34	29	41
მგლები	29	10	6	13	36	37	36
ლოკომოტივი	29	9	8	12	33	32	35
გაგრა	30	7	7	17	23	48	28
მესხეთი	29	6	8	15	22	42	26
სპარტაკი	29	6	7	16	28	45	25
ბორჯომი	29	2	7	20	21	73	13

"ბარსელონა" იბრაჰიმოვიჩში 70 მილიონს იხდის

"ბარსელონამ" "ინტერს" ასტრონომიული თანხა - 70 მილიონი ევრო შესთავაზა შვედ ფორვარდ ზლატან იბრაჰიმოვიჩში, თავად ფეხბურთელს კი - წლიური 9 მილიონი ევრო ხელფასის სახით. გამორიცხული არ არის, გარიგებაში მონაწილეობა მიიღოს სამუელ ეტო`ომ, რომლის (როგორც ტრანსფერის შემადგენელი ნაწილის) შეთავაზებას აპირებს ესპანური კლუბი. იბრაჰიმოვიჩმა ჯერ კიდევ აპრილში განაცხადა, რომ სურს მილანური კლუბის დატოვება და საკუთარი თავის სხვა ჩემპიონატში გამოცდა. "ინტერი" მხოლოდ იმ შემთხვევაში იფიქრებს ფეხბურთელის გაყიდვაზე, თუ მასში, სულ მცირე,100 მილიონ ევროს შესთავაზებენ.

კრესპო "ფიორენტინაში" გადავიდა

მილანის "ინტერის" ფორვარდი ერნან კრესპო მომავალი სეზონიდან "ფიორენტინაში" ითამაშებს. 33 წლის არგენტინელმა თავდამსხმელმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა ფლორენციულ კლუბთან. კრესპო მიმდინარე სეზონში ძირითადად სათადარიგოთა სკამზე იჯდა და მხოლოდ 10 მატჩში მიიღო მონაწილეობა.

ნესტა ბრუნდება

"მილანის" ვეტერანმა მცველმა ალესანდრო ნესტამ განაცხადა, რომ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მუდმივი პრობლემების მიუხედავად, აქტიური ფეხბურთიდან წასვლას არ აპირებს. "ფეხბურთიდან წავალ თუ არა? არა, ეს უსაფუძვლო მითქმა-მოთქმაა. აუცილებლად დავამტკიცებ, რომ ფეხბურთის თამაში ისევ შემიძლია. დარწმუნებული ვარ, მიმდინარე სეზონში თუ არა, მომავალი ზაფხულის ბოლოს მაინც მინდორს დავუბრუნდები," - თქვა 33 წლის ფეხბურთელმა, რომელსაც წელის ტრავმის გამო დიდხანს არ უთამაშია.

ნესტას დაბრუნებას ბევრი არც ელოდა. იტალიაში იმასაც ამბობდნენ, რომ ალესანდრო პაოლო მალდინისთან ერთად წავიდოდა ფეხბურთიდან, თუმცა "მილანის" ვიცე-პრეზიდენტ ადრიანო გალიანის სჯეროდა, რომ ნესტა დაბრუნდებოდა, გასულ კვირაში კი თქვა, რომ მომავალ სეზონში დაცვის ცენტრში კალაძესა და ნესტაზე აკეთებს აქცენტს.

ოუენი რჩება

კომპანია Wasserman Media Group-ის წარმომადგენელმა, რომელიც ინგლისური "ნიუკასლის" ფორვარდ მაიკლ ოუენის საქმეთა წარმოებითაა დაკავებული, უარყო გავრცელებული ცნობა, რომლის თანახმად, მისი კლიენტი საფეხბურთო კარიერის დასრულებას აპირებს. "ოუენის მიერ საფეხბურთო კარიერის დასრულების შესახებ გავრცელებული არც ერთი ინფორმაცია სინამდვილეს არ შეესაბამება. მაიკლი თავისი კლუბისა და ფეხბურთის ერთგულია. ის დათრგუნვილია იმით, რასაც მასზე წერენ. მან უკვე მისცა ინსტრუქცია ადვოკატს, რათა ზომები მიიღოს ნებისმიერი საინფორმაციო წყაროს წინააღმდეგ, რომელშიც არასწორადაა ინტერპრეტირებული ფეხბურთელის სიტყვები მისი მომავალი კარიერის შესახებ," - დასძინა Wasserman Media Group-ის წარმომადგენელმა ინტერნეტ-გამოცემა Sportinglife-თან საუბრისას.

მაკედა სამშობლოში დაბრუნებას არ აპირებს

ამ სეზონში "მანჩესტერის" შემადგენლობაში თავი გამოიჩინა ახალგაზრდა იტალიელმა ფორვარდმა ფედერიკო მაკედამ. მართალია, ის ხშირად ვერ ხვდება ძირითად შემადგენლობაში, მაგრამ ფერგიუსონი მასზე დიდ იმედს ამყარებს, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე იტალიურ კლუბს უკვე გაუჩნდა მაკედას გადაბირების სურვილი.

ფედერიკო მაკედას მენეჯერმა ჯოვანი ბიამ თავისი კლიენტის სამშობლოში დაბრუნება და რომელიმე ადგილობრივ კლუბში იჯარით თამაში გამორიცხა. "მანჩესტერ იუნაიტედის" ხელმძღვანელობა მსგავს გარიგებას არ აპირებს. იტალიურ კლუბებთან არავითარი კონტაქტი არ გვქონია," - თქვა ბიამ.

18 წლის მაკედას მენეჯერმა ეს კომენტარი მას შემდეგ გააკეთა, რაც ბოლო პერიოდში იტალიურ პრესაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ ადგილობრივ კლუბებს ფეხბურთელის იჯარით აყვანა სურდათ. საუბარი იყო "პარმასა" და "ატალანტაზე".

პედერსენი რჩება

ნორვეგიის ნაკრებისა და ბლექბერნის მცველი მორტენ გამსტ პედერსენი აცხადებს, რომ ზაფხულში კლუბის შეცვლას არ აპირებს.

პედერსენს კლუბთან ხელშეკრულება 2010 წლამდე აკავშირებს და აქამდე მის გაგრძელებაზე რამდენჯერმე უარი თქვა.

„გასული წლის ნოემბერში კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი ვთქვი, თუმცა გუნდში ახალი მწვრთნელია, რომლის ხელმძღვანელობით თამაში მომწონს. ის მენდობა და ჩემი სათამაშო ფორმაც თანდათან უკეთესი ხდება," - თქვა პედერსენმა, რომელიც ინგლისურ კლუბში 2004 წლიდან გამოდის და 157 მატჩში 24 გოლი გაიტანა.

ადვოკაატი ბელგიის ნაკრების მწვრთნელობაზე დათანხმდა

სანკტ პეტერბურგის „ზენიტის" ჰოლანდიელი მწვრთნელი დიკ ადვოკაატი ბელგიელ ჟურნალისტებთან საუბარში აცხადებს, რომ თანახმაა სათავეში ჩაუდგეს ამ ქვეყნის ნაკრებს.

„ბელგიის ნაკრების გაძღოლას ვაპირებ. ამ გუნდს დიდი პოტენციალი აქვს. მჯერა ადგილობრივი ფეხბურთელების. ისინი ახალგაზრდები და ნიჭიერები არიან. მართალია, სათანადო გამოცდილება არა აქვთ, მაგრამ მზად ვარ საკუთარი შესაძლებლობების ბოლომდე გახსნაში დავეხმარო. ბელგიაში მუშაობა ჩემთვის ახალი გამოწვევაა. ფული რომ მაინტერესებდეს, რუსეთში დავრჩებოდი. მართალია, უკვე 61 წლის ვარ, მაგრამ მინდა კიდევ ახალი გამოცდილება შევიძინო," - თქვა ადვოკაატმა.

ახლა ბელგიის ნაკრები მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი. ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა კარგა ხანია ეძებს მწვრთნელს და საუკეთესო ვარიანტად სწორედ ადვოკაატი შეარჩიეს. სავარაუდოდ, ჰოლანდიელი ზაფხულშივე დატოვებს „ზენიტს" და მომავალი სეზონის დაწყებისთანავე ჩაუდგება სათავეში ბელგიის ნაკრებს.

პერესის პრიორიტეტი კაკაა

ფლორენტინო პერესის განცხადებით, „რეალის" პრეზიდენტის პოსტის დაკავების შემდეგ მისი მთავარი პრიორიტეტი მადრიდის „მილანის" ბრაზილიელი შემტევის კაკას შეძენა იქნება.

სამეფო კლუბში საპრეზიდენტო არჩევნები 14 ივნისს გაიმართება. სავარაუდოდ, არჩევნებს სწორედ პერესი მოიგებს.

ესპანური მედიის ინფორმაციით, პერესმა, როგორც იტალიურ კლუბთან, ისე ფეხბურთელთან, მომავალი ტრანსფერის დეტალები უკვე შეათანხმა. ის მზადაა „მილანს" კაკას სანაცვლოდ 63 მილიონი ევრო გადაუხადოს, თავად ფეხბურთელს კი ხუთწლიანი კონტრაქტი გაუფორმოს და ანაზღაურების სახით წელიწადში 8 მილიონი ევრო დაუნიშნოს.

ერთი თვის წინ კაკამ მადრიდელებთან ყოველგვარი კონტაქტი უარყო და განაცხადა, რომ „მილანში" დარჩენას აპირებს. ზამთრის სატრანსფერო პერიოდში მისი გადაბირება ინგლისის „მანჩესტერ სიტის" სურდა, მაგრამ იტალიელებმა სამხრეთამერიკელი 110 მილიონ ევროდ არ დათმეს.

ოდომ ნაკრებზე უარი თქვა

„ბაიერნის" იტალიელი მცველი მასიმო ოდო „სუადრა აძურაში" თამაშს აღარ აპირებს.

„ნაკრებში მოხვედრის შანსი აღარ დამრჩა. გუნდში დაბრუნებულ მარჩელო ლიპის ჩემს მიმართ ერთხელაც არ გამოუხატავს ინტერესი. შესაძლოა, ასაკი ხელს აღარ მიწყობს და ახალგაზრდებს უნდა დავუთმო ადგილი. ლიპი დიადი მწვრთნელია და კარგად იცის, რა უნდა გააკეთოს," - თქვა ოდომ.

ლიპის კლუბები არ აინტერესებს

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ აღნიშნა, რომ კლუბში სამუშაო არ აინტერესებს და თუ იტალიის ნაკრების შემდეგ სამწვრთნელო კარიერას გააგრძელებს, რომელიმე ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ჩაიბარებს.

„არ ვაპირებ ოდესმე რომელიმე კლუბის მთავარი მწვრთნელი გავხდე. თუმცა, სავარაუდოდ, ფეხბურთში დავრჩები. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ რამდენიმე ფედერაციისგან, მათ შორის მექსიკურისგან, შეთავაზება მივიღე. მიწვევდნენ ევროპული ნაკრებებიც. თუმცა, იმ ადამიანისთვის, რომელმაც მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო, სხვა ქვეყნის ნაკრების გაწვრთნა მიუღებელია. მე მხოლოდ იტალიის ნაკრების გაწვრთნაზე ვოცნებობდი," - თქვა ლიპიმ.

ქართველმა როკერებმა პირველი საჩემპიონო ნაბიჯი გადადგეს

ცინცაძე მეტოქეს დაუსხლტა

ესტონეთის საკალათბურთო ჩემპიონატი დასასრულს მიუახლოვდა. გასამართი დარჩა მხოლოდ ფინალური სერია, რომელშიც გიორგი ცინცაძისა და ვიქტორ სანიკიძის ტარტუს „როკი" კალევ კრამოას ხვდება.

ესტონეთის ჩემპიონატის მსვლელობისას სწორედ ეს ორი გუნდი აჩვენებდა მაღალი დონის კალათბურთს და ფინალში მათი გასვლა სრულიად ლოგიკურია. ნახევარფინალური სერია კი ჩემპიონობის ორივე მაძიებელმა იოლად, მშრალი ანგარიშით - 3:0 მოიგო.

ფინალური სერიის პირველი მატჩი ტარტუში გაიმართა და „როკერებმა" საკუთარი მოედნის უპირატესობა სრულად გამოიყენეს.

მასპინძელთა უპირატესობა გამოიკვეთა პირველივე მეოთხედში, რომელიც ტარტუელებმა 11-ქულიანი უპირატესობით მოიგეს - 25:14. „როკერებმა" მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალება არც მეორე მეოთხედში მისცეს და პირველი ტაიმი 16 ქულით მოიგეს - 50:34.

თითქოს ამით ყველაფერი დასრულდა, თუმცა სტუმართა გუნდი არ გატყდა და მესამე მეოთხედში თამაშში გარდატეხა შეიტანა. საქმე იქამდე მივიდა, რომ გადამწყვეტი - მეოთხე მეოთხედის წინ ტარტუელები მხოლოდ სამ ქულას იგებდნენ -
76:73.

მეოთხე მეოთხედში თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა. მასპინძლებმა უპირატესობა შეინარჩუნეს და საფინალო სირენამ ტაბლოზე ტარტუელთა გამარჯვება - 82:78 აღნიშნა.

„როკის" ამ გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანა გიორგი ცინცაძემ, რომელმაც მატჩი სასტარტო ხუთეულში დაიწყო. მოთამაშეთა შორის მან ყველაზე მეტი დრო - 34.07 წუთი დაჰყო მოედანზე და ცოტა დააკლდა ორმაგ დუბლამდე. ქართველმა 17 ქულით, 9 შედეგიანი გადაცემით, 6 მოხსნითა და 1 ჩაჭრით დაასრულა მატჩი. ცინცაძეს 10 ორქულიანი ტყორცნიდან 6 შედეგიანი გამოუვიდა, 2 სამქულიანი ცდიდან ერთხელ იხეირა და საჯარიმოს ხაზიდან შესრულებული ორივე სროლა ზუსტად გამოიყენა.

თანამემამულეს მხარი ვერ აუბა ვიქტორ სანიკიძემ. მან თავისთვის უჩვეულო, უფერული მატჩი ჩაატარა. 20.32 წუთში მხოლოდ 2 ქულა (1-დან 1 ორქულიანი, 2-დან 0 სამქულიანი) მიითვალა, რასაც თითო მოხსნა-პასი დაუმატა.

ამ გუნდების მორიგი მატჩი 19 მაისს გაიმართება და მასპინძელი ისევ „როკი" იქნება.

საკუთარ კლუბებში წარმატებულ თამაშს აგრძელებენ საქართველოს ნაკრების სხვა კალათბურთელებიც. ვლადიმერ ბოისამ ხორვატულ „ზადარში" გადასვლის შემდეგ თავისი საუკეთესო მატჩი ხორვატიის ჩემპიონატის დასკვნით ტურში გამართა.

„ზადარმა" სტუმრად „შიბენკა" 107:73 დაამარცხა, ბოისამ კი 24 წუთში 25 ქულა მიითვალა.

შიბენიკში გამართულ მატჩში ზადარელთა თავკაცმა ზმაგო საგადინმა ვლადიმერი სასტარტო ხუთეულში ათამაშა. ქართველმა კალათბურთელმა მწვრთნელს ნდობა გაუმართლა.

ბოისამ 7-დან 6 ორქულიანი, 5-დან 3 სამქულიანი და 6-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, რაც ორივე გუნდის შემადგენლობაში საუკეთესო მაჩვენებელია. 25 ქულას მან 5 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 შედეგიანი გადაცემა დაუმატა, მეტოქეები კი მასზე 8-ჯერ დაჯარიმდნენ.

ქართველმა კალათბურთელმა 3 ფოლი მიიღო, 2-ჯერ დაკარგა ბურთი, ერთხელ კი მას დაუფარეს.

„ზადარმა" რეგულარულ ჩემპიონატში მეორე ადგილი დაიკავა და ახლა ჩემპიონის ტიტულისთვის პლეი-ოფში გაგრძელებს ბრძოლას.

გიორგი შერმადინის „პანათინაიკოსმა" ქვეყნის ჩემპიონატის ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ეს არც არის გასაკვირი - ევროლიგის გამარჯვებულს ნახევარფინალური სერიაში პრობლემა არ შექმნია და „არისი" 3:0 დაამარცხა.

„პანათინაიკოსმა" 84:80, 66:53 და 71:69 მოუგო მეტოქეს. პირველ ორ მატჩში შერმადინი ათენელების სათადარიგოთა სკამზე არ მჯდარა, დასკვნით მატჩში კი „პანათინაიკოსის" განაცხადში გამოჩნდა, თუმცა თამაშში არ ჩართულა.

ფინალში „პანათინაიკოსის" პირისპირ დადგება მარადიული მეტოქე - პირეოსის „ოლიმპიაკოსი", რომელმაც „მარუსი" ჩამოიცილა გზიდან.

ენინი ცხოვრებით ტკბება

კორტიდან წასვლის შემდეგ მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ბელგიელ ჟუსტინ ენინს თითქმის ყოველდღიურად უწევს იმის თქმა, რომ სპორტული კარიერის განახლებას არ აპირებს.

ერთი წლის წინათ მსოფლიო რეიტინგის ნუსხაში პირველ საფეხურზე იყო, როდესაც სრულიად მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღო. მერე კი განმარტავდა, სპორტული კარიერის დასრულებაზე 2007 წლის მიწურულიდან დავიწყე ფიქრიო. საბოლოო გადაწყვეტილება კი ბერლინის ტურნირზე ახლანდელ მსოფლიოს პირველ ჩოგანთან, რუს დინარა საფინასთან წაგების შემდეგ მიიღო.

„ისტორიის ეს გვერდი გადაფურცლულია, - ამბობს ენინი, - ოცი წელიწადი მივუძღვენი ჩოგბურთს. დღეს კი ჩემი ცხოვრება სრულიად შეცვლილია."

მისი სიტყვებიდან გამომდინარე, ამაში ეჭვი არ უნდა შეგვეპაროს. ამბობს კიდეც, ჩოგბურთში მიმდინარე მოვლენებზე წარმოდგენაც არ მაქვს. ასე რომ, თუ მკითხავთ, ვის მეტი შანსი აქვს „როლან გაროს" მოგებისო, ვერ გიპასუხებთ, რადგან ჩოგბურთს მეტისმეტად დავშორდიო.

„ასოშეიტედ პრესის" ცნობით, ენინი ერთ-ერთ ბელგიურ სატელევიზიო არხზე მუშაობს, კერძოდ, გასართობ გადაცემაზე, სადაც მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი „ანდერლეხტის" საფეხბურთო კლუბთან ერთად ვარჯიშობს. საკუთარ თავს მანეკენისა თუ შეფ-მზარეულის როლშიც ცდის. ახლო მომავალში კი მუსიკალური პროგრამის წაყვანას აპირებს.

„მთელი ეს წლები თითქოს ბუშტში ვცხოვრობდი. ნამდვილ ცხოვრებას ახლა გავუსინჯე გემო", - გულწრფელად ამბობს 26 წლის ენინი. ბელგიელი დიდ დროს უთმობს ქველმოქმედებას. ის იუნისეფის კეთილი ნების ელჩიცაა.

მორიგი ქართული დღე ტოკიოში

ეკვადორი გადალახა ტოკიოში მიმდინარე მაისის ბაშომ, რომელზეც ქართველები ურიგოდ არ გამოდიან. წმინდა ქართულ დაპირისპირებაში გამოცდილმა კოკაიმ იმარჯვა. მას შემდეგ ლევან ცაგურიას ალარ წაუგია, ტოჩინოშინმა კი თანამემამულესთან დამარცხების შემდეგ ერთიც წააგო და გუშინ ნავსი გატეხა.

ასე რომ, გუშინდელი დღე ქართველებისთვის წარმატებული გამოდგა - ჩვენებურებმა მოიგეს. ახლა კოკაის და ტოჩინოშინს ერთნაირი ბალანსი აქვთ - ხუთ-ხუთი გამარჯვება და სამ-სამი მარცხი.

იმისთვის, რომ ქართველმა სუმოისტებმა ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულონ, თითოეულს დარჩენილ 7 დღეში, სულ მცირე, სამი გამარჯვება სჭირდება, რაც, თუ მათ სპორტულ ფორმას გავითვალისწინებთ, სრულიად რეალურია.

გუშინ დოჰიოზე პირველად ტოჩინოშინი გამოვიდა. მან ოზიდაშის ილეთით დაამარცხა დასავლეთის მეთოთხმეტე მაიგაშირა კაკიზოე. ტოჩინოშინის შემდეგ კოკაი გავიდა სასპარეზოდ. მან იორიტაოშის ილეთით მოუგო აღმოსავლეთის მეთორმეტე მაიგაშირა ტაკამისაკირის. გუშინდელამდე ტაკამისაკირის ერთი ბრძოლა ჰქონდა წაგებული და ლიდერთა ჯგუფში იყო.

ზედიზედ მერვე გამარჯვება იზეიმა იოკოძუნა ჰაკუჰომ. ასევე ასპროცენტიანი შედეგით იწონებს თავს დასავლეთის ოძეკი ჰარუმაფიჯიც. იოკოძუნა ასაშორიუს ერთი მარცხი აქვს და იმისთვის, რომ იმპერატორის თასი მოიგოს, პირად ორთაბრძოლაში ჰაკუჰო უნდა დაამარცხოს.

დღეს ტოჩინოშინს დიდი გამოცდა ელის

დღეს ასპარეზობის მეცხრე დღეა. კოკაის მეტოქე იქნება დასავლეთის მეთერთმეტე მაიგაშირა ტოიჩიბიკი, რომელსაც რვიდან ექვსი ბრძოლა აქვს მოგებული. ტოჩინოშინს რთული პაექრობა ელის - მას რანგით გაცილებით მაღლა მდგომ ტოჩინოშიმასთან მოუწევს ჭიდილი. ეს სუმოისტი დასავლეთის მესამე მაიგაშირას რანგში გამოდის მაისის ბაშოზე, თუმცა წარმატებით ვერ დაიკვეხნის - რვა დღის შემდეგ მხოლოდ ორი გამარჯვება აქვს.

ქეცბაიას ათენში ელიან

თემურ ქეცბაიას ათენში ამ კვირას ელიან - წინასწარი შეთანხმების მიხედვით, ქართველი მწვრთნელი საბერძნეთის დედაქალაქში უნდა ჩავიდეს და იქაურ "ოლიმპიაკოსთან" 1+1-წლიანი კონტრაქტი გააფორმოს. კვიპროსული "ანორთოსისის" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გამყვან მწვრთნელთან ხელშეკრულების ხელმოწერა იმიტომ გადაიდო, რომ "ოლიმპიაკოსის" მილიონერი მეპატრონე სოკრატის კოკალისი გუნდთან ერთად ვიეტნამში იმყოფებოდა. 41 წლის ქეცბაიას წელიწადში 500 ათას ევროს გადაუხდიან, პლუს 200 ათასი ბონუსის სახით იმ შემთხვევაში, თუ "ოლიმპიაკოსი" საბერძნეთის ჩემპიონი გახდება.

ფიგუმ კარიერა დაასრულა

ამ უქმეებზე "ინტერმა" იტალიის ჩემპიონის ტიტული მოიგო. სხვებთან ერთად ოქროს მედალს მიიღებს მილანური კლუბის ვეტერანი პორტუგალიელი ნახევარმცველი ლუიშ ფიგუ, რომელსაც ამ სეზონში თითქმის არ უთამაშია.

უკვე კარგა ხანია ამბობენ, რომ ფიგუს კარიერა დასასრულისკენ მიდის. და აი, 36 წლის ვარსკვლავმა ოფიციალურად განაცხადა, რომ ეს მისთვის უკანასკნელი სეზონი იყო პროფესიულ ფეხბურთში.

"კარიერაში პირველად მოვიგე ჩემპიონის ტიტული, ისე რომ პრაქტიკულად არ მითამაშია. ალბათ სწორედ ის დროა, ფეხბურთს დავემშვიდობო. პროფესიულ დონეზე აღარ ვითამაშებ და ეს გადაწყვეტილება საბოლოოა. არც ერთი კლუბის წინადადება არ მივიღებ", - აღნიშნა ფიგუმ.

"ნერაძურიში" პორტუგალიელი გადავიდა 2006 წელს, მას შემდეგ, რაც მასზე უარი თქვა მადრიდის "რეალმა". ფიგუ ჯერ გადასვლას აპირებდა ახლო აღმოსავლეთში, კლუბ "ალ იტიჰადში", სადაც სეზონში მილიონ დოლარზე მეტი უნდა გადაეხადათ. ამ კლუბთან მან კონტრაქტიც გააფორმა, მაგრამ მერე "ინტერის" შეთავაზება მიიღო და ევროპაში დარჩა.

პორტუგალიელმა ლეგენდამ კარიერა დაასრულა

ასე რომ, დასრულდა ფიგუს 20-წლიანი წარმატებული საფეხბურთო კარიერა, რომლის განმავლობაში მან სხვადასხვა კლუბთან ერთად 23 ტიტული მოიგო. ფიგუს ყველა წარმატება სწორედ კლუბებს უკავშირდება. სანაკრებო დონეზე ის მხოლოდ ახალგაზრდულ გუნდთან ერთად მოგებული ტიტულებითა და 2004 წელს პორტუგალიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატზე მოგებული ვერცხლის მედლით დაიკვეხნის.

საკლუბო დონეზე კი თითქმის არ არსებობს ტიტული, რომელიც ფიგუს არ მოუგია. ის იყო პორტუგალიის ჩემპიონი, ბრწყინავდა "ბარსელონასა" და "რეალში", ორივე ესპანურ გრანდთან ერთად მოიგო ესპანეთის ჩემპიონის ტიტული, "რეალთან" ერთად - ჩემპიონთა ლიგა. ამას მოჰყვა "ინტერის" შემადგენლობაში მოგებული სკუდეტო. ფიგუს მოგებული აქვს მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელის ტიტულიც.

მარინი "ვერდერში" გადავიდა

მიონხენგლადბახის "ბორუსიასა" და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველი, 20 წლის მარკო მარინი ზაფხულში ბრემენის "ვერდერს" შეუერთდება.

აქამდე მარინისთვის ბრძოლაში მთავარ ფავორიტად ითვლებოდა "ჰამბურგი", რომელმაც "გლადბახს" იანვარში ამ მაღალტექნიკური ჭაბუკის საფასურად 10 მილიონი ევრო შესთავაზა, თუმცა უარი მიიღო.

მას შემდეგ მარინის ფასი დაეცა და, "კიკერის" ინფორმაციით, ახლა "ბორუსია" მზად არის, "ვერდერს" ის 7-8 მილიონად დაუთმოს.

"ვერდერმა" ეს-ესაა ბრაზილიელი დიეგოს სანაცვლოდ ტურინის "იუვენტუსისგან" 24,5 მილიონი მიიღო. ასე რომ, ამ თანხის გადახდა მისთვის პრობლემა არ არის.

დროგბა მილანში?

კოტ დ'ივუარის ფეხბურთელთა ეროვნული ნაკრებისა და ლონდონის "ჩელსის" თავდამსხმელ დიდიე დროგბას მენეჯერი ისა ტრაორე იტალიაშია, რათა მოლაპარაკება გამართოს "ინტერთან" და "მილანთან".

თავად ტრაორემ ჟურნალისტებთან მილანში ვიზიტის თაობაზე კომენტარი არ გააკეთა, მაგრამ, სავარაუდოდ, უკვე გამართა მოლაპარაკება "ინტერთან", რომლის თავკაცი პორტუგალიელი ჟოზე მოურინიოა.

2004 წელს, როდესაც მოურინიო ინგლისის "ჩელსის" ჩაუდგა სათავეში, სწორედ მისი ინიციატივა იყო მარსელის "ოლიმპიკიდან" დროგბას გადაბირება, რომელიც საბოლოოდ გუნდის შეტევის ლიდერად იქცა.

აგირემ დასახმარებლად ბლანკოს უხმო

რვათვიანი შესვენების შემდეგ ცნობილი მექსიკელი თავდამსხმელი კუაუტემოკ ბლანკო ქვეყნის ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებში მიიწვიეს.

მექსიკელთა ნაკრების ახალმა მთავარმა მწვრთნელმა ხავიერ აგირემ, რომელმაც შვედი სვენ გორან-ერიქსონი შეცვალა, ვეტერან ფორვარდს 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში სალვადორთან (6 ივნისი) და ტრინიდადი და ტობაგოსთან (10 ივნისი) გასამართი მატჩებისთვის უხმო.

36 წლის ბლანკომ, რომელიც 1998 და 2002 წლების მსოფლიო ჩემპიონატების მონაწილეა, 1995 წლიდან ეროვნულ ნაკრებში ჩატარებულ 97 მატჩში 34 გოლი გაიტანა.

"ალკმაარი" მწვრთნელს ეძებს

მას შემდეგ, რაც ლუი ვან გაალმა "ბაიერნში" გადასვლა გადაწყვიტა, ჰოლანდიური "ალკმაარის" მესვეურები ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან.

ჰოლანდიურმა მედიამ რამდენიმე სავარაუდო კანდიდატი დაასახელა, მათ შორის, კო ადრიანსე და მარტინ იოლი, თუმცა "ალკმაარის" ტექნიკურმა დირექტორმა მარსელ ბრანდმა უარყო გავრცელებული ინფორმაცია.

"ადრიანსეს შესახებ შეიძლება დავივიწყოთ, რადგან, პირველ ყოვლისა, მოლაპარაკება მასთან გავმართეთ. თუმცა, ახლა ის ჩვენს სიაში აღარ არის, ისევე როგორც მარტინ იოლი. ამ უკანასკნელს "ჰამბურგში" საქმე კარგად მისდის, ამიტომ მის მიწვევას აზრი არა აქვს. ჩვენ გვინდა ჰოლანდიელი მწვრთნელი, რომელიც ელიტაში შედის, მაგრამ მსგავსი კანდიდატურის მოძებნა ადვილი არ არის", - განაცხადა ბრანდმა.

"ალკმაარი" მას შემდეგ შეუდგა ახალი მთავარი მწვრთნელის ძებნას, რაც მიმდინარე სეზონში ლუის ვან გაალმა (რომელმაც გუნდი ჩემპიონი გახადა) მოუხსნელის "ბაიერნთან" ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

ჯეკო "ვოლფსბურგიდან" მიდის

"ვოლფსბურგის" 23 წლის ბოსნიელ მეგოლეს ედინ ჯეკოს მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ სხვა კლუბში გადასვლა უნდა.

"ადრე აქ დარჩენა მინდოდა, ახლა კი საქმე სხვანაირადაა", - თქვა მან.

მიმდინარე სეზონში ჯეკომ 22 გოლი გაიტანა და საყოველთაო ყურადღება მიიპყრო. მისით, სხვებზე მეტად, ლონდონის "არსენალი" და "ჩელსი", ასევე "მილანი" არიან დაინტერესებული.

ექსკავატორები, საგზაო და სამშენებლო ტექნიკა

JCB

TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT

JCB-ს ოფიციალური დილერი საქართველოში

TCE TEGETA CONSTRUCTION EQUIPMENT

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ.

24-47-44, 24-47-44 (1219)

გარანტია: 1 წელი, სამუშაო საათების შეუზღუდავად

იყიდება!

რუსული წარმოების მოქმედი "დრაგილკა", აღჭურვილი ტექნიკით. ლიცენზია 80 000 კგ-ზე. მდებარეობს მცხეთის რ-ნი სოფელი ახალი ნიჩბისი.

ფასი: 350 000$

საკონტაქტო ტელეფონი: 877 24 44 84, ირაკლი

დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრის მანუალური თერაპიის და სამკურნალო მასაჟის სპეციალისტი ირაკლი ძიძიგური

გთავაზობთ:

ყველა ასაკის პაციენტთათვის - დისკოზის, ოსტეოქონდროზის, სქოლიოზის, ართროზის მკურნალობას, ოპერაციის და ტრავმის შემდგომ რეაბილიტაციას თანამედროვე აპარატურისა და ტექნოლოგიების გამოყენებით.

მის.: დავით ტატიშვილის სამედიცინო ცენტრი

თბილისი, თენგიზ აბულაძის 20

(ვაკე, „სამების“ ეკლესიის უკან)

ტელ.: 91 31 19; 91 32 42; (899) 222 912;

24 საათი

The New York Times — Articles selected for 24 საათი

Weekend

1 მარტიდან

საცალო ვაჭრობაში “24 საათის” სამშაბათის ნომერი ნიუ იორკ თაიმსთან ერთად ეღირება 1 ლარი. ასევე 1 ლარი ეღირება შაბათის გამოცემა WEEKEND. ხელმომწერებს ეს ცვლილებები არ შეეხებათ, მათთვის 24 საათის ყველა ნომრის ფასი 50 თეთრი იქნება.

მარტიდან შესაძლებელი იქნება 24 საათისგან დამოუკიდებლად მხოლოდ სამშაბათისა და შაბათის ნომრების ცალ-ცალკე გამოწერაც.

ასეთ შემთხვევაში ხელმოწერის ფასები შესაბამისად იქნება:

1 წლით ——————— 52 ლარი;
6 თვით ——————— 26 ლარი;
3 თვით ——————— 13 ლარი;
1 თვით ——————— 4 ლარი.

დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 8 (55) 53 56 55 ალეკო ლომიძე;